ახალი თაობა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 აპრილი ოთხშაბათი 2010

№091 (13079) ფასი 60 თეთრი

რიბერი სქანდალში

ქრისტიანი ბიელორუსია

» გვერდი 7

ინტერმა ფინალს გაახედა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ნახევარფინალი

» გვერდი 6

სპარტაკის სპორტსმენის სპრლაგანტის

გუშინ სან სიროზე. ინტერი-ბარსელონა 3:1. მაიკონს გაჰქვს მეორე გოლი ბარსელონას კარში

» გვერდი 2

ძეცბაია:

ვათამაშებთ თუ არა კალაძეს, ჩემი საქმეა

ირაკლი მაჩხანელი

» გვერდი 13

ოთხი წლით ოფშია, ორი იბრძვის

მიჩელი რეალში პელეგრინის შეცვლისო...

» გვერდი 7

» გვერდი 16

ბუნტი ფერარიში?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲪᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ 25 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ. ᲤᲘᲤᲐᲨᲣᲠᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ **ᲜᲘᲯᲐ ᲩᲘᲮᲘᲫᲔ** ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲒᲐᲜᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲔᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲣᲞᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲓᲐ, ᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲧᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲛᲝᲣᲠᲘᲐ.

ᲡᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲪᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲣᲙᲐᲒ ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲛᲔᲑᲚᲐᲓ. ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲒᲐᲜᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲔᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲗᲐᲜᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

■ ■ ■

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲚᲔ **ᲞᲝᲚ ᲚᲔ ᲒᲐᲜᲘ** ᲙᲐᲛᲞᲠᲣᲜᲘ E ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲞᲝᲚᲔᲜᲗᲜᲘ, ᲓᲐᲮᲜᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲮᲜᲘᲗᲜᲘ ᲙᲐᲠᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲥᲜᲔᲚᲐ. ᲤᲘᲜᲯᲐᲚᲘ ᲑᲝᲚᲝᲛ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲜᲔᲒᲘᲜᲐ ᲙᲐᲛᲞᲠᲣᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲛᲔ-20 ᲡᲐᲔᲣᲠᲗᲮᲝ. „ᲚᲝᲛᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲤᲔᲜᲘᲐᲚᲔᲑᲛᲐᲓᲔ ᲡᲘᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲜᲔᲠᲘ ᲐᲫᲔᲒᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲜᲔᲒᲘᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲠᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

„ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲔᲗᲠᲔᲤᲐᲪᲔ-ᲛᲐᲠᲗᲒᲐᲜ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲣᲠ ᲛᲝᲫᲔᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲠᲔᲜᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲐᲮᲜᲘᲗᲜᲘ ᲙᲐᲠᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡᲐᲪ. ᲤᲘᲜᲯᲐᲚᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲒᲣᲜᲓᲛᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ

სამწვრთნელო კალეიდოსკოპი

როცა ცამეჭი... თარსი არ არის

« 30-2 გვერდიდან

თასის მსხვერპლი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გუნდის ასპარეზობაზე მასუხისმგებლობა მწვრთნელს ეკისრება-თქო; აი, ასე მოხდა „სპარტაკის“ ან უკეთ ყოფილ მთავარი მწვრთნელის ულადმირ ბაჩილის შემთხვევაშიც - გუნდმა სეზონის მთავარი ამოცანა ვერ შეასრულა და „მთავარი დამნაშავედ“ უნდა მოიიძებნა? „მთავარი ამოცანა“ კი, ყველას კარგად მოეხსენება, სპარტაკის“ სათასო ამბიციები იყო; ანუ, ევროტურნირებზე მოსახვედრად „სპარტაკს“ მხოლოდ და მხოლოდ თასის ფინალში გასვლა და მერე, იქაც გამარჯვება (?!) ესაჭიროებოდა.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ „სპარტაკის“ ხელმძღვანელები, მთავარი მწვრთნელი თუ ფეხბურთელები, ამ მიზანს ლამის... სეზონის დასაწყისიდან „ახმოვან-ბგნენ“. უფრო ზუსტად, იმის მერე, რაც გუნდი ერთობ კომფორტულ, მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა: „სპარტაკს“ აღარც გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა და ევლარც მედლებისთვის იბრძოლებდა. მოკლედ, ჯერ კიდევ მეორე ტემპის დაწყების წინ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ „სპარტაკს“ რემპიონატში არანაირი მოტივაცია აღარ დარჩა. ჰო, ძალიან ცნელია, სამოთხი თვე „ელოდო“ თასის ნახევარფინალს და ამ დროს კი, რემპიონატში თითქმის ყველა ტურში უმოტივაციოდ ისასპარეზო. სხვათა შორის, პირველი ტემპის დასრულების შემდეგ „სპარტაკში“ სერიოზული ცვლილებები მოხდა: გუნდიდან 12-13 ფეხბურთელი წავიდა და მათ ნაცვლად რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე პლუს ფართოდ რეკლამირებული ფრანგი ლეგიონერი **პატრიკ მედ ნალი** მოვიდნენ.

მოგვიანებით, „სპარტაკმა“ სეზონის ყველაზე „ბპურიანი“ ტრანსფერებიც განახორციელა: გუნდში **გიორგი დემეტრაძე** და **ლაფო ბურდული** ჩაირიცხნენ, რომლებიც საქართველოს რემპიონატში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნდნენ. ყველა ეს ცვლილება მხოლოდ იმისკენ იყო მიმართული, რომ გუნდს წარმატებით დაეძლია ნახევარფინალის ბარიერი; მაგრამ, მოდი, გულახდილად ვთქვათ: ვერც ფრანგი ლეგიონერის და ვერც ჭაბუკი ფეხბურთელების (მანამდე მხოლოდ რეგიონალურ თუ პირველ ლიგაში რომ ასპარეზობდნენ) დამატებამ სასურველი ეფექტი ვერ მოიტანა; სამწუხაროდ, დემეტრაძე-ბურდულის „დუეტსაც“ ეტყობოდა, რომ „სპარტაკში“ მოსულიყვნენ სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდიდნენ...

ასაბუ თუ ისე, „სპარტაკმა“ სეზონის უმთავრესი ამოცანა ვერ შეასრულა და „მთავარ დამნაშავესაც“ ვარსკვლ მიუთითეს. ხოლო ის ფაქტი, რომ ნინა სეზონის შედეგების მიხედვით „სპარტაკი“... სულაც უმსღილესი ლიგიდან გავარდა (სპორტული პრინციპებით ასე იყო), ხოლო ამგამად მეხუთე ადგილზეა, უკვე აღარავის ახსოვს...

გოჩა ჩიქოვანის ახალი ასპარეზი

კლუბის ხელმძღვანელებს ახალი მწვრთნელის ძებნა „გვერდზე“ არ დაუყიათ: „სპარტაკის“ გაძლოვა **გოჩა ჩიქოვანს** დაევალა, ვინც სეზონის დასაწყისიდან ამ გუნდის სამწვრთნელო შტაბში ორიცხებოდა.

ჩიქოვანს დღემდე უმაღლეს ლიგაში დამოუკიდებლად არ უმუშაია: ჯერ „ამერში“ უხმარებოდა **გიორგი ჩიხრაძეს**, შემდეგ „დინამო 2-ში“ **კახა კაჭარავას**; ნინა სეზონში „გაგრას“ მეორე მწვრთნელი იყო, ხოლო ამ ჩემპიონატის დასაწყისიდან, როგორც უკვე ალვნიშნეთ, „სპარტაკში“ მივიდა. და აი, ახალი გამოწვევაც: კალენდარულ მატჩამდე ერთი დღით ადრე გუნდის გაძლოლა დაევალა; თან, მეტოქესაც ხომ მნიშვნელობა აქვს? გუშინ, როდესაც XXX ტურის მიმოხილვა შემოგთავაზეთ, ყურადღება გავამახვილეთ „ახალი მწვრთნელის“ ფაქტორზე; ისიც აღვნიშნეთ, რომ „დინამოს“ ფეხბურთელებს ამ შეხვედრაში, შესაღლოა, საკმარისი მოტივაცია არ ჰქონდათ - ოთხი დღით ადრე ხომ იმავე მეტოქეს სათასო მატჩში დიდი ანგარიშით მოუგეს.

ამასთან, გოჩა ჩიქოვანს სადებიუტო შეხვედრის წინ სერიოზულზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი საკადრო პრობლემები ჰქონდა - ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებული იყო. ყოველივე ამის მოუხედავად „სპარტაკმა“ მაინც შესძლო ამ მატჩში გამარჯვება და ან, ასეთი ნარმატებული დებიუტი გამოუვიდა გოჩა ჩიქოვანს. ეგ კი არა, „სპარტაკმა“ არსებობის განმავლობაში სულაც პირველად შეძლო „დინამოს“ დამარცხება! ჰო, მესამე სეზონია ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს და ის რაც აქამდე ჩატარებულ თორმეტ შეხვედრაში (რვა - ჩემპიონობაში, ოთხი - თასზე) ვერ მოახერხა, მეცამეტე ცდაზე მოხდა. ჰოდა, ამის მერე, ცნებითი რიგით ყველასათვის „თარსი“ ნამდვილად ვეღარ იქნება...

გოჩა ჩიქოვანი

...გოჩა ჩიქოვანის დამოუკიდებელი სამწვრთნელო კარიერა ახლა იწყება და ამ ასპარეზზე ნარმატება გვინდა ვუსურვოთ. იმედი დავიტოვოთ, რომ ამ საქმიანობაშიც ისეთივე ნარმატებები ექნება, როგორც ფეხბურთელობის დროს. შეგახსენებთ, რომ უნიკალსაღერო თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელი გოჩა ჩიქოვანი ნლების განმავლობაში თამამობდა ბათუმის „დინამოში“, სადაც საკვირაო პირველობის მეორე და პირველი ლიგის „სკოლა“ გაიარა. ეგ კი არა, უმაღლეს ლიგაშიც აქვს ნათამაშები, ოღონდ, ამჯერად უკვე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში: თანაც, პირველად 20 წლის ასაკში მიიწვიეს (1983 წელს), მეორედ კი - ექვსი წლის შემდეგ.

საქართველოს ეროვნული რემპიონატი „დინამოში“ (იმდროინდელ „იბერიაში“) დაინყო და ამ გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელიც იყო; საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელი ფეხბურთელი ერთნაირი ნარმატებით ასპარეზობდა დაცვის ორივე ფლანგზეც და ცენტრშიც, შემთხვევებიც ყოფილა, ნახევარმცველად რომ უთამაშია. 1992 წლის ორ სეკტემბერს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშიც იასპარეზა: **გიგა ნორაკიძის** ხელმძღვანელობით ჩვენი უპირველესი გუნდი სტუმრად ლიტვასთან რომ დამარცხდა. სამწუხაროდ, ჩიქოვანისთვის ეს იყო პირველი და უკანასკნელი სანაკრებო მატჩი...

...**ნოდარ ახალკაცი**-უფროსი, **ვალერიან ჩხარტიშვილი, დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი, გიგი ნოდია**, - აი, ასეთ მწვრთნელებთან ჰქონდა ურთიერთობა ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში. ჰოდა, ასეთი სპეციალისტებისგან, ალბათ, ბევრ რამესაც ისნავლიდა...

გია ტუხაშვილი

ჩაშლილი ტრანსფერი

ევროკავშირი ჰაერივით გვჭირდება

კვანტალიანი ფინეთში არ გაუშვეს

თბილისის „ლოკომოტივი“ ლიდერების ნასვლით გამონვეულ დანაკლისს ინაზღაურებდა და ახალ ფეხბურთელებს ეძებდა. ამ დროს, გუნდში შეალა კვანტალიანი ათამაშდა და პირველივე მაგრიდან საუკეთესო შთაბეჭდილების ტოვებდა. იმ მომენტისთვის უმაღლესი ლიგის დებიუტანტი უკვე რაღაც 17 წლის იყო...

ამ სეზონის დაწყებამდე ახალგაზრდა თავდამსხმელი „ლოკომოტივიდან“ „გაგრაში“ გადავიდა, მაგრამ „თავის“ კლუბში ვერ მოხვდა, იშვიათად თამაშობდა, ზამთრის მოსამზადებელი ეტაპიდან კი საერთოდ აღარ გამორჩენილა. ის არც კლუბის განაცხადშია და არც - უცნოეთში. ჩვენი გასაუბრების მიზეზიც ეს გახდა:

- თბილისში კი ხარ, მაგრამ „გაგრაში“ აღარ თამაშობ. კლუბი ხომ არ დატოვე?

- ახლა უკვე „გაგრაში“ ვვარჯიშობ, მაგრამ ნასვლას ნამდვილად ვაპირებდი. გადაწყვეტილიც მქონდა ფინეთში ნასვლა, მაგრამ ვიზა ვერ მივიღე. სხვა რა გზა იყო, დარჩენამ მომინია და ისევ „გაგრაში“ დავბრუნდი.

- რომელ ფინურ კლუბში გადადიოდი?

- ...ყველაზე ახლოს ვიყავი იმასთან, რომ ფინურ კლუბში გადავსულიყავი. ორი დღით ადრე ვიზა მქონდა მზად, ბილეთებიც ვიყიდე, მაგრამ ვიზა ვერ მივიღე. ამის მერე, ცოტა ხანი ვიყავი ფინეთში, ვარჯიშებზე დავდიოდი, ვთამაშობდი, მაგრამ ისეთი ფორმით ვერ ვიყავი, რომ ხელშეკრულება მეთქვა. ამის მერე, ისევ „გაგრაში“ დავბრუნდი.

- ფინურ კლუბებში ხომ არ გიმოწმებიათ?

- ეგ ნამდვილად ასე იყო. ფინეთში ვიყავი, ვარჯიშებზე დავდიოდი, ვთამაშობდი, მაგრამ ისეთი ფორმით ვერ ვიყავი, რომ ხელშეკრულება მეთქვა. ამის მერე, ისევ „გაგრაში“ დავბრუნდი.

- ფინეთში ვიზის მისაღებად ხომ არ გიწევდა ბანკში ფულის ჩადება?

- ეგ ფინეთში ვიზის მისაღებად კი არა, ფინეთში ჩასვლისთვის იყო საჭირო. ბანკში ფულის ჩადება ფინეთში ვიზის მისაღებად არ გჭირდება

ლეგიონი

ვალერი აბრამიძე

სერიოზული არაფერი მომხდარა

უკვე ვნერდით, რომ ზერჩაიჟანის რემპიონობის ბოლო ტურში **კახა ცხადაძის** „ინტერმა" თანაქალქელ ბაქოს „ნეფთჩისთან" 0:1 ნააგო და ლიდერობა ლენინორანის „ხაზარს" გადაუულია. ამჟამად, „ინტერი" 24 ქულით მეორე ადგილზეა და პირველადგილიანს ერთი ქულით ჩამორჩება.

გავიხსენოთ, რა თქვა „ინტერის" ქარხველმა თავკაცმა მაგრის შემდგომ პრესკონფერენციაზე: „ელლოვა „ნეფთჩის" და ყველას, ვისაც „ინტერის" ნაგება სურდა. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში არ ვიცოდით, რა იყო მარცხი, ამიტომ, ზოგს ეს გულით სურდა, ჰოდა, ახლა ელლოვაც მათ".

„ნეფთჩის" მწვრთნელი **არიფ ასადოვი** ჩვენებურს ვალში არ დარჩა - ეს არის სწორედ ცხადაძის დონეო. ჩვენთვის უცნობი იყო, რატომ დაიძახა სიტყვაცია და რამ გამოიწვია „ინტერის" მთავარი მწვრთნელის უკმაყოფილება. ამიტომაც დაეუკავშირდით გუნდ **ვალერი აბრამიძეს**, რომელმაც „ნეფთჩის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა.

„მაგრი დასასრულს უხასოვდებოდა, როცა „ინტერმა" შემოგვიტია. მონინააღმდგის იერიშის დროს ერთერთ ჩვენს მოთამაშეს ბურთი ხელზე მოხვდა და მეტიც ესნაკის ითხოვდა. მსაჯმა მათი პრეტენზია არ გაიზიარა და ბუნებრივია, „ინტერის" ფეხბურთელებიც გაბრაზდნენ... ეს ფეხბურთია და ემოციები ნორაის გაუკვირდება. სიმართლე გითხრათ, ცოტა მოშორებით ვიდექი და ვერ შევნიშნე, მოხვდა თუ არა მცვლელ ბურთი ხელზე... თუმცა, როგორც ჩემი თანაგუნდელები ამტკიცებდნენ, ჩვენისის ხელი ტანთან ჰქონდა, რაც წესების დარღვევად არ ითვლება. ყანა მსაჯობით იყო უკმაყოფილო, პენალტს ითხოვდა. თუმცა უკმაყოფილება საზღვარს არ გასცდენია, არანაირი ჩხუბი და გაწევ-გამოწევაც არ ყოფილა. სხვათა შორის, ძალიან კარგად ითამაშა გიორგი ლომპიძემ, ყანა მცვალებადც მშვენიერად გამოიყურებოდა. ნაკალოვსკისა და ოდიკაძეს არ უთამაშიათ, რადგან გიორგი დისკვალიფიცირებული იყო, დათო ავად გახლდათ", - გვეიბრა აბრამიძემ.

აბრამიძე აზერბაიჯანში ნასვლით კმაყოფილია: „აკაურობას კარგად შეეწყვეს, ფეხბურთელების დიდ ნაწილს ადრეც ვიცნობდი და შეგიძლია არ გამჭირვებია. პირობები კი საკმაოდ კარგია და ამ კუთხით, საქართველოს ვერც შეედარება. სამწუხაროდ, ჩემპიონობისთვის ვეღარ ვიბრძოლებთ, რადგან „ინტერთან" მოგებამდე ზედიზედ ორი თამაში ნავაგეთ და ამან უკან დაგვწია. ახლა ჩვენი მიზანია, ევროპის ლიგის საგზური მოვიპოვოთ".

მარკა მამულაშვილი

ინტერვიუ

ბეგლარიშვილი სამპდორიას ელის

სამშაბათს წლის ნინ საფეხბურთო წრეები ახალ ტალანტზე, ზაქარია ბეგლარიშვილზე ალაპარაკდნენ. ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამამის დაკვალიანება „არეულობების ფონდმა" გადაწყვიტა. შოთამ შემჩევი ნახევარმცველის მოწყობა ჰოლანდიის რამდენიმე ცნობილ კლუბში სცადა. ზაქარიას ურიგო მთამეჭდილება არ დუტოვებია, მაგრამ 17 წლის ბიჭს ევროკავიორში თამაშის უფლება არ მისცეს. ბეგლარიშვილი იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო.

ანალოგიური მიზეზი იყო „ტევნენტი" ჩარიცხვის მცდელობისასაც. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ზუსტად ამის გამო ვერ ჩაირიცხა ესპანურ „ლევანტეში" ლეკან ყენია. ხოლო ორა შეეხება ბეგლარიშვილს, საქართველოში დაბრუნებული ჯერ ჯორის „დილაში" თამაშობდა, ხოლო შემდეგ თბილისის „ლოკომოტივის" დუბლებში. გასული სეზონის დასაწყისში გაჩნდა რუსთავის „ოლიმპში" თამაშის იდეაც, რაც მაღევე გამორიცხა, რადგან გამოუცდელი ბეგლარიშვილის ძირითადში თამაშის პერსპექტივას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

აქეთ-იქით სიარულმა და მხოლოდ პერსპექტივის იმედად ყოფნამ ფეხბურთელი დაღალა და ბოლოს ესტონეთის პოპულარულ კლუბ „ფლორაში" ჩაირიცხა. ბუნებრივია, „აიაქსსა" და „ტევნტეში" მოხვედრის მცდელობის შემდეგ თუნდაც ესტონური ფეხბურთის ლიდერთან საქმის დაჭერა გადასარევი ამბავი ეეო იქნება, მაგრამ ბეგლარიშვილი დარწმუნებულია, რომ ეს ნაბიჯი კარიერის ანყობაში დაეხმარება...

- ესტონეთს, „ფლორას"და საერთოდ, უცნო გარემოს როგორ შეეწყვე?

- ნორმალურად, კმაყოფილი ვარ, რადგან კარგი გარჯებია, მთამამაზენ და ნდობას ვგრძნობ. თანაგუნდელებსაც ისე ადვილად შევეწყვე, უკვე მეგობრებიც გართ. ოთხი თვეა ესტონეთში ვარ და ტალინიც კარგად შეეისნავლე.

- „აიაქსსა" და „ტევნტეში" ვარჯიშის შემდეგ ესტონეთში გადასვლამ გული არ დაგწყვიტა?

- გული დამწყვიტა იმან, რომ ვერპის ძლიერ კლუბში ვერ მოვხვდი... თუმცა წარსულზე დარდი აღარ ღირს, თანაც, ესტონეთში ფეხბურთის ბუმია, კლუბებიც და ნაკრებებიც ნინ მიდიან და იმედი მაქვს, რომ აქედან უკეთეს გუნდში გადავალ.

- ქართველებს ესტონეთში თითქმის არ უთამაშიათ და აქედან გამომდინარე, მათ ფეხბურთზე ნაკლები წარმოდგენა გვაქვს...ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამამის დაკვალიანება „არეულობების ფონდმა" გადაწყვიტა. შოთამ შემჩევი ნახევარმცველის მოწყობა ჰოლანდიის რამდენიმე ცნობილ კლუბში სცადა. ზაქარიას ურიგო მთამეჭდილება არ დუტოვებია, მაგრამ 17 წლის ბიჭს ევროკავიორში თამამის უფლება არ მისცეს. ბეგლარიშვილი იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო.

- ნანახმა დამორწმუნა, რომ ცუდი ნაბიჯი არ გადამიდგამს. კლუბებში ძალიან კარგი სავარჯიშო და ფინანსური პირობებია. კარგი მოედნები და არენები იქ არავის უკვირს. თუმცა «ფლორა» ესტონეთში მანიც გამორჩეულია, მაგარი ბაზა და სტადიონი აქვს და ფინანსურადაც გამართული კლუბია. ბაღტის თასზეც ვთამაშობთ, სადაც მეოთხედფინალში გავედით, ესტონეთის თასზე კი ნახევარფინალში ვთან.

- შემადგენლობაში თუ ხედები?

- თავიდან მარჯნ რეიმი შეცვლებზე მთამამებდა, მაგრამ ახლა ძირითადშიც დამაყენა და ეს ძალიან მახარებს, რადგან გუნდში ყველაზე პატარა ვარ. ნინა კვირას «კურესაართან» გოლიც გავიტანე, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამსახელეს და შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შემიყანეს. სხვათა შორის, რეიმს ესტონეთის ნაკრებში ყველაზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

- ესტონელები პოლეტურები არიან, ეს კი შენი ნაკლია და იქაურ ფეხბურთს როგორ ეგუები?

- კი, თითქმის ყველა ფეხბურთელი ალეტურია, მაგრამ თამამი არ მიჭირს.

- ფიზიკური მომზადების მხრივ ახლა უკეთ ხარ?

- რა თქმა უნდა, უკეთ ვარ და ეს თამაშის დროსაც ჩანს. ბეერდ გამიადვილდა მოძრაობა და ორთაბრძოლებშიც სულ უფრო თამამად შევდივარ.

- სპეციალური ვარჯიშები დაგინიშნეს?

- ტრენაყორებში სპეციალურად ინსტრუქტორი მომამაგრეს და ამიტომაც მოვლენილები. ფეხბურთელს კუნთების მასაა აუცილებლად სჭირდება.

- როგორც ვიცი, შენსმდე «ფლორაში» ახალუედაშვილი თამაშობდა. შეგიძლია გვითხრა, ვინ არის ეს ბიჭი?

- როცა ჩავირიცხე, თამაშობდა, მაგრამ კონტრაქტი დაუშთავრდა და ორი თვის წინ სხვა კლუბში, «ლოტუსში" გადავიდა. ეს გუნდიც ესტონეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობს. «ფლორაში" კი „გაგრას" ყოფილი თაედმსმნელი ლექსო აბაშიძეა და ვფიქრობ, მალე ძირითადიც მოხვდება.

- ესტონეთის ჩემპიონატი რა დონისაა?

- საშუალო დონის ჩემპიონატია, საკმაოდ კარგი პირობებით, უკვე ბევრს მიაღწიეს...

- ესტონეთი საქართველოს პირობებით რომ სჯობია, საკამათო არ არის, მაგრამ ბოთი ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრებების შემხედვარეს, მეეჭვება, ჩვენზე უკეთესი პრანველობა ჰქონდეთ...

- საქართველოს ჩემპიონატს ოდნავ აღემატება და გეტყვით, რატომაც. საქართველოზე მეტი ლეგიონერი თამაშობს და ჩემპიონატის თითქმის ყველა

ზაქარია ბეგლარიშვილი

თამაში დამაბულია, რადგან ყველა კლუბი ფინანსურად უზრუნველყოფილია, მოგება და პრემია ყველას უნდა. და რაც მთავარია, ხალხი სტადიონზე დადის.

- როგორც ვიცი, «ფლორაში" ესტონეთის ნაკრების ბევრი ფეხბურთელი ირიცხება...

- ერთეულები სამი მოთამაშეა, ახალგაზრდული გუნდი კი ლამის მთლიანად «ფლორას" ფეხბურთელებით დაკომპლექტება - 7 ფეხბურთელი აიყვანეს.

- ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშებელს გინვევდნენ, ახლა კი, როცა ათამაშებ, აღარ გიხმობენ. ეტყობა, ჯერ კიდევ ელოდებიან, როდის მიხვალ ოპტიმალურ ფორმაში...

- ეს მწვრთნელის გადაწყვეტია. არადა, ძალიან კარგ ფორმაში შევედი და იმედია, გამომძახებენ. ნაკრებში მოხვედრა მანიც სულ სხვა სტატუსია.

- ალბათ, ახლა უფრო იმედიანად ხარ...

- ბუნებრივია, რადგან ფორმაში შევედი. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ ყველა მატჩში კარგად ვთამაშობ და ვარჯიშებზეც ძლიერ მონდომებული ვარ. თანაც, აქ დიდი პერსპექტივა დაინახე.

- საეროდ, ესტონეთი საფეხბურთო ქვეყანაა არ არის და რა პერსპექტივის იმედად ჩახვედი?

- შეიძლება, კომუნისტების დროს ბევრი არაფერი იყო, მაგრამ აქ ფეხბურთი ვითარდება და ევროპელებიც ინტერესდებიან. ესტონეთის ნაკრებიც ოდნავ აღემატება და გეტყვით, რატომაც. საქართველოზე მეტი ლეგიონერი თამაშობს და ჩემპიონატის თითქმის ყველა

ბესიკ ჩიმაკაძე

ერთეული ჩემპიონატის გასული ტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ბესიკ ჩიმაკაძე იყო. ახალგაზრდა თავდასმსმელი, რომელიც „ვიტ ჯორჯიას" ზამთარში შეუერთდა, ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში პირველად მოხვდა და ეს ამბავი დუბლით აღნაშნა. ბესო იმედოვნებს, რომ „ჯორჯიას" რიგებში შემდეგ ტურებში უფრო ხშირად ვიხილავთ და საგროვ მონაგარის გარდასვა აპირებს.

- „ვიტ ჯორჯიას" თავდასხმაში უდიდესი კონკურენციაა. ვახტანგ კვარაცხელია და გიორგი ბერიაშვილი მაღალი დონის ფეხბურთელები არიან და საკმაოდ რთულია მათი ადგილის დაკავება. „სიონთან" მატჩში მწვრთნელმა ჩემზე შეაჩერა არჩევანი და მოედანზე მაქსიმალურად დავიხარჯე. ჯერჯერობით, „ვიტ ჯორჯიაში" მცირე სათამაშო პრაქტიკა მაქვს და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენებინა. მოხარული ვარ, თამაში რომ ნამივიდა და გუნდს სარგებლობა მოვუტანე.

- სეზონის პირველი ნახევარი სწორედ „სიონში" გაატარეთ...

- დიახ, ჩემი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვითამაშე, მაგრამ ამ ფაქტორისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ძალიან სანტერესო და დაძაბული მატჩი გამოვიდა. გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ საბოლოოდ, ფრეს დავჯერდით. „ვიტ ჯორჯიამ" დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და შეხვედრის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ. ჩემთვის ეს პირველი მატჩი იყო „ვიტ ჯორჯიას" ძირითად შემადგენლობაში, აქამდე მხოლოდ ორჯერ მომინია შეცვლაზე თამაშმა. „ვიტ ჯორჯიას" რიგებში პირველი გოლები გავიტანე. სულ კი მიმდინარე ჩემპიონატში ოთხი გოლი მაქვს გატანილი, „სიონში" თამაშისას მეტოქეთა კარი ორჯერ ავიღე.

- ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი გაშორებთ?

- შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმალურ ფორმას ვუახლოვდები, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამაზე გაცილებით მეტიც შემიძლია. ძალისმიდ ეი სისტემატური სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. იმედია, „სიონთან" წარმატებით თამამი ამაში დამეხმარება და შემდეგ შეხვედრებში მაყურებელი მოედანზე სისტემატურად მიხილავს. სამი წლის წინ, სანამ ფეხს მოვიტეხდი, საკუთარი თავით უფრო კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, დადებითი მხარეებიც შემემატა. თუნდაც ფიზიკური მომზადება, საფეხბურთო აზროვნებაი...

- „ვიტ ჯორჯიასთან" ადაპტაცია უკვე გაიარეთ?

- ძირითად გუნდში აქამდე თამამი იშვიათად მინევდა და ასეთ პირობებში არ იყო იოლი ახალ გარემოსთან გაშინაურება, მაგრამ ბოლნისში თანაგუნდელებთან იოლად გამოვნახე საერთო ენა. „ვიტ ჯორჯიაში" გადმოსვლით სამფაზიანი სწორი გადაწყვეტილება მივიღე. აქ ყველაფერი მაქმაყოფილებს და რაც მთავარია, მაქვს გარვიათარების პერსპექტივა. კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და აღბათ, მის ამოწურვამდე „ვიტ ჯორჯიაში" დავრჩები.

- ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიას" მთავარი ამოცანა საქართველოს თასის მოპოვებაა. ჩემპიონატის სამეულში მოხვედრის თქვენი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება?

- მთავარი რაღა თქმა უნდა, ტიტულის მოგებაა. თასის ფინალისთვის განსაკუთრებული მონდომებით მოვემზადებით და შევეცდებით, ეს ჯილდო „ვიტ ჯორჯიას" ისტორიაში პირველად მოვიგოთ. ჩემპიონობის შანსი, საშნურაროდ, უკვე დავკარგეთ, მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სპორნული სამეულში შევიდეთ. ჩემპიონატში დარჩენილი თითოეული შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ბუნებრივია, აქცენტს თასის ფინალზე ვაკეთებთ.

- ფინალში „დინამოსთან" დაპირისპირება გელით, რომლის კარშიც ერთი მნიშვნელოვანი გოლი გაქვთ გატანილი.

- დიახ, სამი წლის წინ თასის მეოთხედფინალში „ამრამ" „დინამო" ჩემი გოლით დაამარცხა და იმ სეზონში ტიტულიც მოიპოვა. იქეთა, „დინამოს" წინააღმდეგ თამამის სათუალება ამჯერადაც მომეცემა. თუ ასე მოხდა, შეეცდები, თავი ფინალშიც გამოვიჩინო.

ლევან ჯანეზაშვილი

რეგიონი

გესიკ შეროზია ფოთი ქართულ საფეხბურთო ელიტას უბრუნებდა

პირველი ლიგის ბინადარმა ფოთის „კოლხეთმა“ ჩემპიონატის პირველი ნრე მესამე ადგილზე დაასრულა. ზამთრის პაუზისას კი კლუბში ბევრი რამ შეიცვალა. „კოლხეთის“ მთავარ მწვრთნელად გამოცდილი ბეზიკ შეროზია დაინიშნა, გუნდის შემადგენლობა კი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელებით გაძლიერდა. ამ ცვლილებებმა შედეგი გამოიღო და ფოთელებმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს და თუ ეს პოზიცია შეინარჩუნეს, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ისპარჯზებენ.

„კოლხეთის“ თავკაც ბესიკ შეროზიას განვუცილ სამუშაოსა და კლუბის სამომავლო პერსპექტივების შესახებ ვესაუბრეთ.

– როგორც იცით, „კოლხეთს“ ზამთარში მივაშურე ზუგდიდის „ბაიადან“, რაც ნამდვილად სნორ გადაწყვეტილება იყო. მოხარული ვარ, რომ ფოთში ფეხბურთის აღორძინების საქმეს ვემსახურები. გვყავს მეტად პერსპექტიული გუნდი, რომელსაც ბევრის მიღწევა შეუძლია.

– ალბათ, გუნდის შედგების გაუმჯობესებაში მნვრთნელის ფაქტორის გარდა, ძლიერი ფეხბურთელების დამატებამაც ითამაშა დიდი როლი.

– რა თქმა უნდა. ზამთარში „კოლხეთს“ შეემატნენ ისეთი ცნობილი და კვალიფიციური მოთამაშეები, როგორიებიც არიან ვალტერ გუწუა, გია თოდუა, დავით ქორია, დავით ჭოთაძეა, ლაშა ლორქიპანიძე და სხვები. ეს ფეხბურთელები უმაღლესი ლიგის გუნდისთვისაც კი დიდი ძალა იქნებოდნენ. ამასთან, გუნდიდან არავინ გამიშვია და გუნდის ნევრთა უმრავლესობას კვლავ ფოთელები შეადგენენ. „კოლხეთში“ 16 ადგილობრივი მოთამაშე ირიცხება, რომლებსაც უყაბლოვს პერიოდში გუნდშემატკივრები კარგად გაიცნობენ. „კოლხეთი“ დღესდღეობით, უფრო გამარჯვე და თანამედროვე ფეხბურთის ვანიჭებთ უპირატესობას, ხანაც დაცვიდან ვთამამობთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერავინ იტყვის, რომ „კოლხეთი“ არასანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს.

– შემდეგი მატჩი პირველი ლიგის ლიდერ ქუთაისის „მერჩულთან“ გვქონთ.

– ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებით. მართალია, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას მეორე ადგილიც იძლევა, მაგრამ პირველობას მაინც სხვა ფასი აქვს და მთელი ძალებით ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ პირველი ლიგის ჩემპიონები გავხდეთ. ამასთან, ისიც კარგად გვესმის, რომ მეტისმეტი რისკი გამართლებული არაა. უახლოესი მდეგრის, „ბაიდის“ სუნთქვა გვესმის და აქედან გამომდინარე, მეორე სფეხურზეც შენარჩუნება სჭირდება. „ტორპედოსთან“ მაგრში, რასაკვირველია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ შეხვედრა ქუთაისში იმართება, ფრეც სავსებით დაგვკმაყოფილებს.

– შემადგენლობის გაძლიერების გარდა, ბოლო პერიოდში სხვა საინტერესო სიახლეებიც ხომ არ მოხდა?

– სასიხარულოა ის, რომ გუნდის მზადების პირობები კარდინალურად გაუმჯობესდა. ზამთარში ორი ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ, გუნდს გამოეყო ახალი კომფორტული ავტობუსი, შეეძინეთ „ხალური“ ფორმები. მოკლედ, მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური ცვლილებები მოხდა და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

– კლუბის ბაზის და სტადიონის მდგომარეობა როგორია?

– ორივე საკმაოდ ნორმალურ მდგომარეობაშია. ბაზა გარემონტდა, ამუშავდა კეების ბლოკი, მოეწყო საფარი ბაზაზეც და სტადიონზეც საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. ერთი სიტყვით, გუნდს სრულფასოვანი მომზადებისთვის იდეალურთან მიახლოებული პირობები აქვს.

– კლუბი მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება თუ კერძო ინვესტორიც გყავთ?

– „კოლხეთის“ რეგიონის ხელმძღვანელობაა ატურულად ეხმარება და კლუბის პრეზიდენტი თემურ ბარქაიაც საქმეს დიდი მონდომებით უძღვება. ვისარგებლებ შემთხვევით და თანადგომისთვის მადლობას გადავუხდი სამეგრელოს გუბერნატორ ზაზა გორგოსიანს და ქალაქ ფოთის მერ ვახო საღინაძეს. აქ ყველა იმისთვისაა მონდომებული, რომ ჩვენი ქალაქი ქართული ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდეს და „კოლხეთმა“ იმ დონეზე ითამაშოს, ბის ისტორიასა და ტრადიციებს რომ შეეფერება. უზომოდ ბედნიერი ვარ, ამ დიდ საქმეში მეც რომ შემაქვს ჩემი მოკრძალებული წვლილი.

– მომდინარე სეზონში უმაღლეს ლიგაშიც იმუშავეთ და პირველშიც. პირველი ლიგის ლიდერები უმაღლეს ლიგაში შეძლებენ ღირსეულად თამაშს?

– აუცილებლად. პირველი ლიგის საუკეთესო გუნდები უმაღლესის ამჟამინდელ აუმსაიდერებს გაცილებით სჯობიან.

– საუბარია უმაღლესი ლიგის გაფართოება და აქედან გამომდინარე, შეიძლება, სულ ერთი გახდეს, „კოლხეთი“ პირველ ლიგაში მეორე ადგილს დაიკავებს თუ მესამეს. თუ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა მართლაც გაიზარდა და „კოლხეთი“ მომდინარე პირველ ან მეორე ადგილზე გავიდა, გარკვეული უსამართლობის გრძნობა ხომ არ გაგიჩნდებათ?

– არა, რადგან მეცოდინება, რომ უმაღლეს ლიგაში გადასული საკუთარი შრომით დავიმსახურეთ და არა ვინმეს გადაწყვეტილებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მირჩევნია, უმაღლეს ლიგაში სპორტული პრინციპით გადავიდეთ. ხოლო თუ უმაღლესს სხვა გუნდებიც დაამატებს, ეს ნამდვილად არ მენყინება.

– უმაღლესი ლიგის გაფართოების მომხრე ხარ?

– მომხრე ვარ იმ შემთხვევაში, თუ იქ მოთამაშე ყველა კლუბი მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება. ის არ უნდა მოხდეს, რომ რომელიმე გუნდი სეზონის მსულეობისას დაიშალოს. თორემ მოხარული ვიქნები, თუკი უმაღლეს ლიგაში რაც შეიძლება მეტი რეგიონი იქნება წარმოდგენილი, განსაკუთრებით კი ტრადიციული სადებურო. თუ კუთხეების კლუბების თამაში გამეხარდება. სანამ დასაღეთ საქართველოში ფეხბურთი არ აღორძინდება, ქართული ფეხბურთის კრიზისი არ დასრულდება. თუ კლუბებს ამის საშუალება ექნებათ, უმაღლეს ლიგაში 14 კი არა, 16 ან 18 გუნდის თამაშსაც მივესალმები.

ლევან ჭანტურიშვილი

ლეგიონერი



ლადო დვალიშვილი უგოლობა გადაღლილობის ბრალი იყო

ისრაელის ჩემპიონატის გასულ ტურში **ვლადიმერ დვალიშვილმა** ათმატჩიანი უგოლო სერია დაასრულა და „ამდოდის“ კარი დალაშქრა. პაიფას „მაქაბი“ კი გათამაშების კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს, ოღონდ უახლოეს მდეგარ თელ ავივის „პაპოელს“ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს. საქმე ისაა, რომ გასულ უქმეებზე ისრაელის ჩემპიონატის მეორე ტემპი დაინიშნა და ზეციქსულების გუნდები იქ განახვერებული ქულებით ჩაერთნენ.

„ობიექტურად, ჩვენი გუნდი ისრაელში საუკეთესოა და მხოლოდ ქულების განაბევრების ბრალია, ჩვენი უპირატესობა ასე რომ შემცირდა. თუმცა ჯარ უშავს, მთავარი ისაა, რომ „მაქაბი“ ძველებურად მაღალ დონეზე აგრძელებს თამაშს და იმის მთუხედავად, რომ ძლიერ კონკურენტები გვყავს, აუცილებლად ვიზეიმებთ ჩემპიონობას“, - ამბობს ლადო.

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ხანგრძლივი უგოლობა გადაღლილობით ახსნა: „სეზონი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. ვითამაშე ჩემპიონთა ლიგაში, ისრაელის ჩემპიონატში, საქართველოს ნაკრებში... სულ რამდენიმე შეხვედრა გამოტოვებ და იმის გამო საუკეთესო კონდიციებში ვეღარ ვიყავი. ეს ბუნებრივიცაა, მთელი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება ნარმოუდგენელია. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი რიგზეა, ძალებიც აღვიდგინე და დარწმუნებული ვარ, გოლების მარაგს კიდევ გავზრდი. „ამდოდის“ კარში კი უფექტური გოლი გავიტანე. 25 მეტრიდან შეუფრენელად დავარტყი და ბურთი მეტოქის კარის ცხრაინში გავგზავნე“.

ისრაელის მიმდინარე ჩემპიონატში დვალიშვილს 30 მატჩი აქვს ჩატარებული, საიდაც 15 გოლი გაიტანა. ბომბარდირთა დავაში იგი მესამე ადგილზეა. ლადოს საგარეუდო ტრანსფერზეც ცოტა ხანია, მაგრამ გვიპასუხა, რომ ამჯერად მხოლოდ „მაქაბი“ და „პაპოელი“ კონცენტრირებული, ისრაელის ჩემპიონობაზე ფიქრობს და მსურველი კლუბების წინადადებებს მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ განიხილავს.

ლევან ჭანტურიშვილი

პოლიტიკა და ფეხბურთი

სამხრეთ ოსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მიიწვიეს...

სეპარატისტები თავიანთ ხალხს ატყუებენ

დასაწყისში, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ოურისდიქცია კვლავაც არ ვრცელდება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. ამ რეგიონში ისევ სეპარატისტული ხელისუფლებაა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს ჩრდილოელი მფარველის გარდა, ისინი ყველა სფეროში, მათ შორის სპორტშიც, იზოლაციაში არიან. სეპარატისტები ცდილობენ, ეს იზოლაცია გაარღვიონ, მაგრამ მათი ეს მცდელობა უშედეგოა. იმედი კი აქვთ, რომ აღიარებენ, ამ იზოლაციას გაარღვევენ და თავიანთ ხალხსაც ამ ფუჭი იმედებით კვებავენ.

ახლა სწორედ მსგავსი რამ უნდა გაცნობოთ. „ოსური რადიოს“ მტკიცებით, სამხრეთ ოსეთის ფუტბალის ფედერაციამ იზოლაცია გაარღვია და საერთაშორისო ორგანიზაციაში განევრიანდა. უფრო მეტიც, ამავე წყაროს ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის ფუტბალის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. „მნიშვნელოვანი ნაბიჯია. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ამას ჩვენი რესპუბლიკისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კარატეს ასოციაციის შემდეგ, ფუტბალის ასოციაციაც რიგით მეორე ორგანიზაციაა, რომელშიაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა“, - აღნიშნა ვებგვერდ www. osradio.ru-სთან საუბარში სამხრეთ ოსეთის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მინისტრის მოადგილე **ბახვა თედეევმა.** დიახ, ეს ის თედეევი, რომელიც 1986-89 წლებში თბილისის „დინამოს“ შემტევი ნახევარმცველი იყო...

ამავე წყაროს მტკიცებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ნაკრები ევროპის ფუტბალის კაუჩორის პრეზიდენტმა, ვინმე **ახუმიანმა** ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ მიიპატიჟა. ეს ორგანიზაცია ფუტბალში ევროპის ჩემპიონატს მიმდინარე წლის 2-9 მაისს ატარებს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის არაღიარებული ხელისუფლება ჩემპიონატზე 18-კაციან დელეგაციას მიაგზავნის.

ამ ინფორმაციამ არაერთი კითხვის ნიშანი გააჩინა. ჯერ ერთი, ევროპის მასშტაბით ფუტბალის გათამაშებებს უეფა ატარებს და არა - ევროპის ფუტბალის კაუჩორი. საქმე ისაა, რომ ფუტბალის ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო უეფაა ამავე სახელწოდების კომიტეტია. უეფას ოფიციალურ ვებგვერდი არ ეუწყება, რომ 2-9 მაისს ფუტბალში კონტინენტის პირველობას ატარებს. ერთი სიტყვით, ვითარებაში გარკვეება გადავწყვიტეთ. რა თქმა უნდა, საქართველოს ფუტბალის ასოციაციის ახალ ხელმძღვანელობასთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ **გიზო ფხოველიშვილს** ვერ დავუკავშირდით. თუმცა შევეხმიანეთ ფუტბალის ასოციაციის ყოფილ პრეზიდენტ **ჯახა დევდარიანს,** რომელმაც სიტუაციის ნათელი მოპფინა.

„ამ ინფორმაციის მიხედვით, საგანგაში არაფერია. ევროპის ფუტბალის კაუჩორი, არალეგიტიმური ორგანიზაციაა, მას საერთაშორისო აღიარება არ აქვს და ისეთივე თვითმარქვია წარმონაქმნია, როგორიც ეს სეპარატისტული რეგიმებია. ამ ორგანიზაციას მართლაც ახუმიანი ხელმძღვანელობს... მის სახელს ვეღარ ვიხსენებ... ფუტბალის ასოციაციაში ჩემი ხელმძღვანელობის დროსაც გვწერდნენ ამ ორგანიზაციიდან, მაგრამ ამაოდ. ევროპის მასშტაბით, ფუტბალში ოფიციალურ ტურნირებს უეფა ატარებს, რადგან სწორედ უეფას ფუტბალის კომიტეტი უძღვება ამ საქმეს. ევროპის ფუტბალის კაუჩორი კი ასე ვგავს ზაფხულ მინდვრებზე თვითმარქვია და არაღიარებულ, ეგრეთ წოდებულ ქვეყნებში, ეპატაჟება მათ, შეკრებს და ატარებს ტურნირს, რომელიც ვითომდაც ევროპის ჩემპიონატია. ამ ვითამაშებებს იმიტომ ატარებს, რომ თავისი არსებობა გაამართლოს“.

დავით ცაბაძე

ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲝᲣ

ᲕᲝᲜᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ

რაც **ხოსეპ გვარდიოლა** „ბარსელონას“ მწვრთნელია, გუნდს ასეთი მწარე მარცხი არ უგემია - ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩში, გადაჭედილ „სან სიროზე“ იტალიის ჩემპიონმა „ინტერმა“ სოლიდური, ორბურთიანი უპირატესობა დაიბევა საპასუხო მატჩის წინ, არადა 30-ე წუთამდე **ჟოზე მოურინიოს** გუნდი აგებდა. პორტუგალიელი თავკაცი ვახსენეთ და მის სასაზღვრო უნდა ითქვას, მოურინიომ ბრწყინვალედ შეისწავლა „ბარსა“ და სეზონში მესამე ცდაზე მაინც დაამარცხა. ბებერ კონტინენტს ვულკანური ფერფლი აღევს ცაზე, ამიტომ კატალონიელები იტალიაში ავტობუსით ჩავიდნენ, ყურადღების ცენტრში მათი არგენტინელი ვარსკვლავი **ლიონელ მესი** იყო, მაგრამ ჯუზეპე მეაცა სახელობის სტადიონზე მესი, გარკვეულწილად, ჩრდილში მოექცა - წუხელ სულ სხვა არგენტინელის მოუ ვიწილეთ, „ინტერის“ ფორვარდმა **დიეგო მილიტომ**, რომელსაც ძნის წინააღმდეგ თამაშმა არ მოუნია, გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა. „ინტერის“ ოცნება, 1965 წლის მერე პირველად უკრესტიჟულესი ევროსასკულო ტიტულის მოპოვებაზე, ნელ-ნელა ფრთებს ისხამს...

პირველი აშკარა საგოლე მომენტი „ინტერისა“ იყო - **ესტებან კამბიასომ** თანამემამულე ლეო მესის აართვა ბურთი და შეტევაც ნამოინყო, რომელიც **სამუელ ეტოოს** სახიფათო დარტყმით და **ვალდესის** ბრწყინვალე ნახტომით დასრულდა, გამოვარდნილ ბურთს პირველმა მილიტომ მოუსწრო, მაგრამ ამ ეროხელ მან უხეიროდ ითამაშა. სავასუხო კონტრშეტევა ეკ გოლით დასრულდა - ყოფილმა ინტერელმა **მაქსველმა** თავის ფლანგზე გაიღალა, **ლუსიოს** დაუდევრობის წყალობით ბოლომდე ჩავიდა და იქიდან საჯარიმოში **პედროს** ჩაუნოდა, სტუმართაგან საუკეთესო პედრო როდრიგესმა კი ანგარიში აუელვებლად გახსნა - 0:1.

30-ე წუთზე **ესტეგას** დანგებული კომბინაცია მილიტომ გააგრძელა, თითქოს ამჯერადაც დაადგინა, მაგრამ დროულად დაინახა საჯარიმოში გახსნილი **სნეიდერი** და პოლანდიელმა ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მოუხედავად იმისა, რომ ბურთს უფრო ხშირად „ბარსელონა“ ფლობდა ტაიმი ლოგიკური ფრით მორჩა.

მეორე ტაიმი „ინტერისთვის“ იღბლიანად დაინყო - მილიტომ მარჯვენიდან **მაიკონს** მიანოდა საჯარიმოში პასი, ბრაზილიელი მცველიც გამოცდილი ფორვარდივით გაეერკვა სიტუაციაში და „ინტერი“ დაანნარუა - 2:1. ამ გოლით მასპინძლებმა უდიდესი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს. 61-ე წუთზე ეტოომ მარჯვენიდან ჩამოაწოდა, სნეიდერმა თავით მილიტოს გადაანოდა და ამ უკანასკნელმაც დამსახურებული გოლი შეაგდო - 3:1. რა თქმა უნდა, „ბარსას“ შეტევები ამის მერე უფრო სახიფათო გახდა, ერთი-ორჯერ მასპინძლითა საჯარიმოში პანიის ნიშნებიც იყო, მესიმაც დაარტყა საჯარიმოდან სახიფათოდ, მაგრამ მოურინიოს გუნდმა გაძლო და მთელ ევროპას დააანახა, რომ ამ წყვილში „ბარსელონა“, სულ მცირე, ფავორიტი არ არის.

დიეგო მილიტო: *„ძალიან ბედნიერები ვართ ამ მოგებით. ძალიან ძნელი 90 წუთი გვქონის, უნდა გავუძლოთ. ჩვენ შესანიშნავი შანსი გვაქვს ფინალში გავსულის და უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. გუნდმა დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა, ლეოს და იბრას მეჩრება არ გინდათ?! მაგრამ ჩვენ ეს შევძელით“.*

ნიკოლოზ ᲮᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ

ᲘᲜᲢᲔᲠᲘ–ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	3:1

ინტერი (4-3-1-2): ჯულიო სეზარი – მაიკონი (73. კრუზე), ლუსიო, სამუელი, ძანეტი – ტაიაო მოტა, კამბიასო, პანდიანი (56. სტანკოვიჩი) - სნეიდერი - მილიტო (75. ბალოტელი), ეტოო.

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, მაჩერანო – ჩავი, ბოჯანები, კუარა – მესი, ინიესტა,პედრო (62. ხაბალონი), ტვერი

გოლები: 0:1 პედრო (19), 1:1 სნეიდერი (30), 2:1 მაიკონი (48), 3:1 მილიტო (61)

მაყურებელი: 83 000

არბიტრი: ო. ბენკერშმა (ბორტუგალია)

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ: ᲘᲜᲢᲔᲠᲘ	
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲘ: ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲒᲘᲫᲐ: ᲘᲜᲢᲔᲠᲘ	
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	
8 (5)	ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ	11 (7)
18	ᲕᲐᲠᲒᲘᲫᲐ	21
2	ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲘ	4
2	ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ	5
33%	ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲚᲝᲑᲐ	67%

მატჩის გმირი დიეგო მილიტო

განახლებული რუბრიკა

სიახლე და ავტო

ავტოგანცხადებები სიტყვა და საქმის ხუთშაბათის ნომერში

ავტო

ბაიერნი გულმოდგინედ ემზადება

ᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ?

ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ–ᲚᲘᲝᲜᲘ

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ „ბაიერნმა“ შაბათს, ბუნდესლიგაში 7:0 ეი მოიგო (ჰანოვერთან) და წვიით, ბავარიელები ბრწყინვალე გუნებაზე უნდა იყვნენ, მაგრამ შაბათის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ასე, მაგალითად, რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** იძულებული გახდა, სამშობლოში წასულიყო, რადგან სიდედრი გარდაეცვალა. ამის გამო, ლუისი მოუხერხდა გუშინ გვიანღა დაბრუნდა. შესაბამისად, ვან გაალი მატჩისწინა პრესკონფერენციას ვერ დაესწრო და მის ნაცვლად, დღევანდელ მატჩზე ლუისის ასისტენტებმა, **ანდის ონკერმა** და **ჰერმან გერლანდმა** ისაუბრეს.

პრობლემები აქვს „ბაიერნის“ ფრანგ ვარსკვლავ **ფრანკ რიბერისაც**. კვირას მან გუნდთან ერთად ვერ იავარჯიშა, რადგან კუნთი ჰქონდა დაჭიმული, მაგრამ ეს არაფერია იმ ამბავთან შედარებით, რაც საფრანგეთში რიბერის თავს ტრიალებს: როგორც ფრანგული პრესა წერს, რიბერის საფრანგეთში არასრულწლოვან მეძავთან ჰქონდა ურთიერთობა, რის გამოც სერიოზული პრობლემები შექმნება. ჩვენი ფრანგი კოლეგები ოუსვებიან, რომ რიბერიმ უკვე აღიარა ეს ამბავი და ახლა, მისი ადვოკატი, ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ფრანგმა არ იცოდა, მეძავი არასრულწლოვანი რომ იყო. „ბაიერნის“ ექიმები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ „ლიონთან“ რიბერი აუცილებლად ითამაშებს.

შეფერხებული ფრენების გამო, „ლიონი“ მოუხერხდა თვითმფრინავის ნაცვლად, ათი მინიტნით ჩავიდა. 625 კილომეტრის შემდეგ, ფრანგული კლუბი და მისი ნევრები მტუტგარებში გაჩერდნენ, ღამე გაათენეს და დანარჩენი 230 კილომეტრი მეორე, ანუ, გუშინ დილას გაიარეს.

დღევანდელი შეხვედრისთვის „ლიონს“ დაცვაში ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს. თვითონ განსაჯეთ, ფრანგების ტრავმების გამო ერთბაშად ორი ნამყვანი ცენტრალური მცველი აკლიათ: **ჟან-ალან ბუმსონგი** და **მატიო ბომგარი**. სწორედ ამიტომ, დაცვის ცენტრში **ჯერემი ტულალანმა** უნდა ითამაშოს, რომელიც თავის მხრივ, ნახევარდაცვას დაკლდება. იქ კი, „ლიონის“ მთავარ მწვრთნელ **კლოდ პუელს** პრობლემები ისედაც არ აკლია, რადგან დამავებულია **ჟან მაკუნიც**. ამრიგად, საყრდენი ნახევარმცველების პოზიციაზე, ლოგიკურად **კიმ კასსტრიომი** და ახალგაზრდა **მაქსიმე გონალონი** უნდა ვიხილოთ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ კასსტრიომი უფრო შემქმნელი ნახევარმცველია, ვიდრე ჩამშლელი, მაგრამ რაკი გუნდს უჭირს, საყრდენი შუამავლის პოზიციაზე უნდა ითამაშოს.

„ლიონმა“ გასულ უქმეებზე „ბორდოსთან“ უმიმესი მატჩი (2:2) გადაიტანა, მაგრამ პუელმა მეძლო და იმ მეხვედრაში ორი ნამყვანი ფეხბურთელი დაასვენა: გოლეადორი **ლისანდრო ლოპესი** მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში შეუშვა, **სეზარ დელგადო** კი 67-ე წუთზე.

მოუხერხეულ კლუბში მიაჩნიათ, რომ ფინალში გავლეს, ოლონდ ის შემთხვევაში, თუ „ლიონის“ შესაძლებლობებს რეალურად შეაფასებენ და მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშებენ. „ბაიერნს“ ორი ურთულესი თამაში ელის. „ლიონი“ ძალიან ძლიერი გუნდია, შეიძლება, უფრო ძლიერიც კი, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედი“ და სწორედ ამიტომ, მაქსიმალური ყურადღება გვმართებს. ეს არის გუნდი, რომელმაც მერვედფინალიდან მადრიდის „რეალი“ გაავდო, ჯგუფში კი „ლივერპული“ ჩატოვა. ჩვენი მიზანია, მოვიგოთ ეს მატჩი - ანგარიშს და სხვაობას მნიშვნელობა არ აქვს,“ - ეს სიტყვები მოუხერხელთა ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ეკუთვნის, რომელიც მიიჩნევს, რომ რეკორდმაისტერი სტუმრადაც შეძლებს გოლის გატანას.

რიბერისთან ერთად, მწყობრშია **მიროსლავ კლოზეც**, რომელიც „ჰანოვერთან“ განაცხადშიც კი არ იყო. **მარკ ვან ბომელი** და **პოლგერ ბაღმტუბერი** დისკვალიფიცირებულები არიან. ჰოლანდიელ საყრდენ ნახევარმცველს **დანიელ პრანჩჩი** შეცვლის, დაცვის მარცხენა ფლანგზე კი, ახალგაზრდა **დიეგო კონტენტოს** ვიხილავეთ.

თითქმის ყველა გერმანულმა გამოცემამ ინტერვიუ ჩამოართვა „ბაიერნის“ ყოფილ მცველს, ფრანც **ვილი სანიოლს**, რომელიც „ლიონს“ ძალიან კარგად იცნობს. აი, რას ამბობს სანიოლი: *„საფრანგეთში ყველა ფიქრობს, რომ შანსები 50:50-ზეა, მე კი მიმაჩნია, რომ „ბაიერნია“ ფავორიტი. ისე კი, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული კლუბები ევროპის ლიგის ნახევარფინალებში ხშირად ხვდებიან, ეს ჯერ არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნის“ საკუთარ მოედანზეც გაუჭირდება „ლიონის“ დამარცხება, რადგან კლოდ პუელის გუნდი თავს ათი კაცით დაიცავს!“*

2000/2001 წლებში, ჩემპიონთა ლიგაში ორი ჯგუფური ტურნირი იმართებოდა. 7 მარტს, მეორე ჯგუფურ ეტაპზე, „ბაიერნი“ ჯგუფში „ლიონთან“ ერთად მოხვდა. რეკორდმაისტერმა ფრანგულ კლუბს შინ 1:0 მოუგო, სტუმრად კი 0:3 განადგურდა, რის შემდეგაც „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ბავარიული გრანდის ფეხბურთელებს სულ პენსიონერები ეძახა. მაგრამ იმ სეზონში „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო...

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲨᲔᲫᲐᲓᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ბაიერნი (4-4-2): ბუტი – ლამი, ვან ბუიტენი, დემიელოსი, კონტენტო - რობენი, შვაინშტაიგერი, პრანჩჩი, რიბერი - თ. მოულერი, ოლიჩი.

ლიონი (4-2-3-1): ლორისი - რევილერი, ჟრასი, ტულალანი, სისოხო - კასსტრომი, გონალონისი - ბასტოსი, პიანიჩი, დელგადო - ლისანდრო ლოპესი.

არბიტრი: რობერტო როზეტი (იტალია)

გოტფრიდ ᲚᲔᲜᲪᲘ

ინტერვიუ

ოტმარ ჰიტცფელდი

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲐ

„ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ლეგენდარული ოტმარ ჰიტცფელდი ფიქრობს, რომ დღევანდელი რეკორდმატერი 2001 წლის ფორმაცია კი სჯობია...

- ᲯᲔᲠ ჰიტცფელდ, „ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ლივონს“ ხვდება. რა ასოციაციას იწვევს თქვენში ამ ორი გუნდის მოგდაწნეზე ერთად წარმოდგენა? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როგორ თამაშს ელით?

- ერთი რამ ზუსტად ვიცი: „ბაიერნს“ ორი ურთულესი მეტოქე ელის. „ლივონ“ პრაგმატული, ტაქტიკურად განსწავლული, ბრძოლისუნარიანი და სწორად მოთამაშე გუნდია, რომლის დამარცხება ძალიან ძნელია. 2001 წელს ჩემმა „ბაიერნმა“ „ლივონთან“ 0:3 წააგო და ის თამაში არასდროს დამავიწყდება.

- ᲐᲮᲐᲕᲡ თუ არა დღეს „ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲡ“ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲖᲔ ძლიერი გუნდი?

- მოუხედავად იმისა, რომ 2001 წელს ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მიმაჩნია, რომ დღევანდელი „ბაიერნი“ მედარებით ძლიერია. მართალია, ჩვენ მაშინ ფენომენალური ფეხბურთელები გვყავდა, ელბერი, შოლი, კანი და ეფუნბეგერი ბრწყინვალე მოთამაშეები იყვნენ, მაგრამ არიენ რობენი და ფრანკ რიბერი ხელოვანები არიან. შესაბამისად, დღევანდელ „ბაიერნს“ უფრო მეტი შეუძლია.

- ექსპერტების აზრით, შანსები 50:50-ზეა. თქვენც ასე ფიქრობთ?

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. ცხადია, „ლივონს“ ძალიან ეთამაშებ, მაგრამ „ბაიერნი“ ფრანგულ კლუბზე მაღლა უნდა დავაყენოთ. ჩემი აზრით, მიუნხენური კლუბი ფავორიტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ბაიერნის“ ნინა ხაში „ლივონისას“ გაცილებით სჯობია. მე ვიტყოდი, რომ შანსები 60:40-ზეა, „ბაიერნის“ სასარგებლოდ. როგორც უნდა ვიმსჯელოთ, ლოგიკურად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მიუნხენური კლუბი ფინალში უნდა გავიდეს, მაგრამ ფეხბურთი დიდი ხანია, აღარ არის ლოგიკური სპორტი. „ლივონ“ ორივე მატჩში მეტად ბრძოლებს და „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა ყველა დეტალს ყურადღება უნდა მიაქციონ. ეს ისეთი მომენტია, როცა ერთი შეხედვით უმნიშვნელო კომპონენტსაც კი შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

- „ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ“ გერმანიის თასის ფინალშია და გერმანიის ჩემპიონობის საუკეთესო შანსიც აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეკორდმატერს პეთ-თრიკის შესრულების შანსი აქვს, რაც ამ გუნდს აქამდე არასდროს ჰკუთვნებია...

- შანსი არსებობს, მაგრამ ამ შანსს გამოყენება უნდა. 1999 წელს ჩემს „ბაიერსაც“ ჰქონდა ჰეთ-თრიკის შესრულების შანსი და მიზანს კინალამ მივაღწიეთ. გერმანიის ჩემპიონები კი გავხდით, მაგრამ მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალი წავაგეთ. „მანჩესტერთან“ რომ მოგვეგო, ზუსტად ვიცი, გერმანიის თასის ფინალშიც გავიმარჯვებდით, მაგრამ ბარსელონას ფინალმა ისე დაგვასვა დაღი, რომ თასის ფინალიც წავაგეთ. ახლა კი კალენდარი სხვანაირადაა შედგენილი. ჯერ ბუნდესლიგის ბოლო ტურებია, მერე გერმანიის თასი და ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ფინალი. მოკლედ, დრამატურგია „ბაიერნის“ სასარგებლოდ მეტყველებს.

- „ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ“ ჩემპიონობას წყალი არ გაუვა?

- არა მგონია, რომ რეკორდმატერმა ჩემპიონობა დაკარგოს. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ დარჩენილ სამ ტურში პირველი ადგილი დათმონ? თასის ფინალში კი „ბაიერნს“ ბრუმენის „ვერდერი“ ელოდება და რეკორდმატერი იქაც ფავორიტი იქნება. მერე კი, ჩემპიონთა ლიგის ფინალიც მოდის. რატომღაც მგონია, რომ თუ „ბაიერნი“ მადრიდში ნასვლის უფლებას მოიპოვებს, იქიდან გამარჯვებული დაბრუნდება.

- რას იტყვით ივიცა ოლიჩზე?

- დიდი ხანია, „ბაიერსს“ ასეთი სარფიანი გარიგება არ გაუწარმოვს. ივიცა ოლიჩი ძალიან მაგარი ფეხბურთელია, ასეთი თავდასხმელები დიდი იშვიათობაა.

- მარიო გომესი?

- მოუხსენებლობა ამ ფეხბურთელში 30 მილიონი ევრო გადაიხადეს, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ მარიო უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცა. გომესი „ბაიერნის“ ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდა, ეს კი უდიდესი ტვირთია. ვფიქრობ, მომავალი სეზონიდან იმიჯების გამართლებას დაიწყებს. ყოველ შემთხვევაში, მე მის შესაძლებლობებში ვეჭვი არ მეპარება.

- არიენ რობენი „ბაიერნისთვის“ უფრო ძვირფასია, ვიდრე ლეო მესი „ბარსელონასთვის“?

- თანაბრად მნიშვნელოვნები არიან. რობენმა იმედები გაამართლა. მეტიც, მან მოლოდინს გადაჭარბა. არ მეგონა, თუ პირველივე სეზონში ასე კარგად იასპარეზებდა.

- სამაგიეროდ, ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა მიროსლავ კლოზეს. მიუხედავად ამისა, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც ნაიყვანს. როგორ გგონიათ, სწორია თუ არა ეს გადაწყვეტილება?

- სწორია. დარწმუნებული ვარ, რომ კლოზე მუნდიალზე ძალიან კარგად ითამაშებს და ყველას შეახსენებს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია.

- ყველ კურანი?

- კურანიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა გოლებით დაიმსახურა. მეც ვფიქრობ, რომ ლიოვმა კვეინს ყველაფერი უნდა აპატიოს და სამხრეთ აფრიკაში უნდა იახლოს. მჯერა, ასეც იქნება.

გოტფრიდ ლენცი

სპანდალი

ᲠᲘᲑᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲔᲯᲐᲕᲗᲗᲐᲜ?



ფრანკ რიბერი სკანდალში გაიხვია

„ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ“ და „ლივონის“ მატჩის წინ, საფეხბურთო საფრანგეთი ახალმა სკანდალმა შეძრა. ორშაბათს გავრცელებული ცნობები, სამშაბათს უკვე ყველა საინფორმაციო საagენტომ დაადასტურა. გუშინ, სააგენტო AFP იტყობინებოდა, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ნახევარმცველი **ფრანკ რიბერიმ** არასრულწლოვან მეძავთან ურთიერთობა აღიარა. მანამდე, ვრცელდებოდა ცნობები, რომ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებმა მეძავებთან დაიჭირეს საქმე და რომ ერთ-ერთი მათგანი არასრულწლოვანი იყო. AFP წერს, რომ ინფორმაცია რიბერის აღიარებით ჩვენებასთან დაკავშირებით სანდო და ასპროცენტიანია.

დაკითხვისას, რიბერის უთქვამს, რომ მან არ იცოდა მეძავის ასაკი და შესაბამისად, ვერც კი ნარმოედგინა, რომ მარკოლელი გოგონა იმ დროს არასრულწლოვანი იყო. ფეხბურთელის ადვოკატი კი აცხადებს, რომ რიბერი მხოლოდ მოწმის სახით დაკითხეს და რომ ის ეჭვმიტანილი არ არის. როგორც გაირკვა, პროკურატურამ საფრანგეთის ნაკრების ოთხი ფეხბურთელი დაკითხა. ცნობილია, რომ რიბერის გარდა დაკითხა **სიდნი გოვუ**.

საფრანგეთში არასრულწლოვანთან სექსი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთითა და 45.500 ევროთი ისჯება. ჯერჯერობით უცნობია, დაედება თუ არა რიბერის ბრალი. ოფიციალურად, რიბერი ჯერ მხოლოდ მოწმეა. ვრცელდება ცნობები, რომ პოლიცია კლიენტებზე მეტად იმ ხალხს ეჩრის, ვინც არასრულწლოვან მეძავებს ამუშავებს.

ფაქტი ის არის, რომ რიბერის სერიოზული პრობლემები შეექმნება პირად ცხოვრებაში. მისი მეუღლე **ვანესა** მუსლიმანია (როგორც რიბერი) და ცნობილია, რომ ფრანკს მკაცრად აკონტროლებს. ღალატი არავის მოეწონება, მაგრამ ფაქტია, რომ ვანესას შემთხვევაში ძალიან რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება „ბაიერნის“ შეფებს - ისინი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ. „არა მგონია, რომ რიბერის პრობლემები შეექმნას. მას ნერვიულობა ოდნავადაც არ ეტყობა და ასი პროცენტით „ლივონთან“ მატჩზეა კონცენტრირებული,“ - ეს „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** სიტყვებია.

გოტფრიდ ლენცი

ესპანეთის ჩემპიონატი

ᲒᲝᲠᲔᲡᲘ, ᲘᲜᲘᲔᲡᲢᲐ, ᲤᲐᲑᲠᲔᲒᲐᲡᲘ...

დელ ბოსკე მუნდიალზე ყველა ტრავმირებულს ვერ წაიყვანს

მუნდიალი უკვე კარსაა მომდგარი და ესპანეთის ნაკრების თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდის მთავარი პრობლემა უკვე გამოიკვეთა - ტრავმები. კვირას მეხლის ოპერაცია **ფერნანდო ტორესმა** გაიკეთა, ერთი თვით უქმობს **ანდრეს ინიესტა**, ფეხი აქვს მოტეხილი **სესკ ფაბრეგასს**... დელ ბოსკემ „მარკასთან“ საუბარში განაცხადა, რომ სანაკრებო განაკვეთიდან ერთდროულად რამდენიმე ტრავმირებულ ფეხბურთელს ნამდვილად ვერ შეიკვანს. ესპანელთა თავკაცმა იმედი გამოთქვა, რომ მაისის ბოლოსთვის მისი ფეხბურთელები ტრავმებს მოირჩენენ.

„ტორესმა კლუბის ხელმძღვანელობასთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება. მას ასეთ მდგომარეობაში თამაში არ შეეძლო. მე ვერ გავრისკავ განაცხადოთ ერთდროულად ბუთი ან ექვსი ტრავმირებული ფეხბურთელის შეყვანას. ესპანეთის ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომელიც თავის გამორჩენის შანსს ელის, შეუცდომელი არავინაა“, - განაცხადა ესპანეთის ნაკრების თავკაცმა.

ვისენტე დელ ბოსკე
ფერნანდო ტორესსა და სესკ ფაბრეგასს
მუნდიალზე გამგზავრების გარანტიას ვერ აძლევს

რეალი

ᲞᲔᲚᲔᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲩᲔᲚᲘ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡᲐ...

„რეალმა“ მორიგი ტურისთვის ვარჯიში განაახლა და კვლავ - ბრაზილიელი ვარსკვლავის **კაკას** გარეშე. კაკა მარტის (როცა „რეალი“ „ლივონთან“ დამარცხდა) შემდეგ ვერ თამაშობს. დიდად საეჭვოა, კაკამ „სარაგოსასთან“ მატჩისთვის გამოჯანმრთელება მოახერხოს. „სამეფო კლუბის“ ლაზარეთში არიან **კრისტოფ მეტცელდერი, როისტონ დრენტე** და **რაულ ალბიოლი**. ალბიოლი მსუბუქად არის დაშავებული, თუმცა „სარაგოსასთან“ მატჩში მაინც ვერ თამაშობს - მადრიდელთა მცველი დისკვალიფიცირებულია.

კიდევ ერთი სიახლე „რეალს“ უკავშირდება - ესპანურმა გაზეთმა „სპორტმა“ დაწერა სკანდალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „ხუტოფს“ ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარ მწვრთნელ **მიჩელს** მწვანე შუქი აუნთო „რეალში“ გადასვლაზე. უკვე დიდი ხანია საუბრობენ **მანუელ პელეგრინის** საგარაუდო შემცვლელზე (ესპანური მედია ერთიან აზრზეა, რომ ჩილელს ზაფხულში შეცვლიან), რომელთა შორის მიჩელის სახელიც ფიგურირებს. მიჩელი „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი და გულშემატკივრთა ფავორიტია, თანაც მან „ხეტაფეში“ ბუმბონი ყველას დაანახვა, რომ კარგი მწვრთნელია - ბევრი მიჩელს „რეალის“ იდეალურ მწვრთნელადაც მოიაზრებს და იმედოვნებს, რომ ის ისევე ბუნებრივად მოერგება გუნდს, როგორც **პეპ გვარდიოლა** „ბარსელონას“.

შეიძლება რეალის ახალი მწვრთნელი მისი ყოფილი ფორვარდი მიჩელი გახდეს

>> გვ-10 გვერდზე

მანჩესტერ სიტი

კრეიგ ბელამი და რობერტო მანჩინი

შერეკილი ბელამი

კრეიგ ბელამის რთული ურთიერთობა „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელთან **რობერტო მანჩინისთან** უეცსულის ისტლენდურ მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. „ლელის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ მანჩესტერელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და იტალიელი მწვრთნელი ცოტა ხნის წინ გვარიანად შელაპარაკდნენ და იტალიელმა ბელამი გუნდიდან დაითხოვა კიდეც - ნადი და მაისის ბოლომდე არ დაგინახოო. მაშინ საქმეში კლუბის სხვა ხელმძღვანელები ჩაერივნენ და დაშორისპირებულები შეარიგეს, თუმცა ბელამი მაინც ფიქრობს, რომ „სიტის“ სათავეში მომავალშიც მანჩინი დარჩება, მას გუნდიდან ნასვლა მოუწევს.

მოგეხსენებათ, უცილობლი თავდამხმელი მეტისმეტად ემოციური ადამიანია და მის გვერდით ცხოვრება და მუშაობა იოლი საქმე არ გახლავთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ რაც მანჩინი და ბელამი შეარიგეს, ვითარება შედარებით სტაბილურია.

ბელამისა და მანჩინის შორის ურთიერთობა იტალიელის ისტლენდზე გამოწვეისთანავე დაიძაბა - ბელამი წინა მწვრთნელის, მისი თანამემამულის **მარკ ჰიუზის** ერთგული ფეხბურთელი გახლდათ. როდესაც „სიტის“ მწვრთნელად მანჩინი მოვიდა, ბელამიმ აშკარად გამოხატა მის მიმართ ანტიპათია და მოუხედავად იმისა, რომ ყოველ ტურში თავგადაკლული თამაშობს, რათა „სიტიმ“ პრემიერლიგის ცხრილში მეოთხე ადგილი მოიპოვოს და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს, ორ კაცს შორის დაძაბულობა არ იკლებს. საინტერესო ამბავია: „მანჩესტერ სიტი“ შიდასაკლუბო გამოძიებას აბარებს. მოგეხსენებათ, ამ გუნდისა და „ევერტონის“ შეხვედრის მიწურულს მანჩინისა და „ევერტონის“ თავკაცს **დევიდ მოიეს** შორის შეხლა-შემოხლას მიახლებული შელაპარაკება მოხდა. თურმე ნუ იტყვით და, მატჩის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ გეიროპში ბელამი თავისი მწვრთნელისკენ კი არ იყო, მოიესს ამარცხებდა. როგორც ამბობენ, „სიტი“ ამ გამოძიებას ბოლომდე ვერასდროს მიიყვანს და ვერასდროს დაამტკიცებს, რომ ბელამი მოიესის სასარგებლო რამეებს გაიძახოდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უცილობელი ფეხბურთელი ყოველ შეხვედრაში თავგადაკლული თამაშობს, მაგრამ აშკარაა, რომ ბოლო რამდენიმე შეხვედრაში თამაშის ხარისხმა იკლო, რასაც, ბევრი მიმომხილველისა თუ გულშემატკივრის აზრით, მანჩინი გამოიყენებს დაზაფხულზე მას გუნდიდან გააგდებს.

საინტერესოა, რა ბედი ელის ბელამის? ცნობილია, რომ მისი შეძენა „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცს **ჯარი რედნაპს** სურს. თუ ამასობაში, მარკ ჰიუზი რომელიმე კლუბში მუშაობას დაიწყებს, რასაკვირველია, უცილობელ კიდევ ერთი კარგი ვარიანტი გამოუჩნდება. ისე კი, კარგ ვარიანტს რომ ვამბობთ, რასაკვირველია, ხელფასსაც ვგულისხმობთ და მოგახსენებთ, რომ ისტლენდზე მას კიდრმაში 90 ათასს უხდიან.

მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგი გაისად მიდის, მოულოდნელი არაფერია

სერ **ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ იუნაიტედის“ დირექტორატს გამოუცხადა: „ერთი სეზონივ და მეცდავარ“. როგორც ინგლისური პრესა გვაცნობინებს, ეს სიტყვა იყო და ინგლისის ჩემპიონმა ახალი მწვრთნელის შერჩევა დაიწყო.

ასე და ამგვარად, ფერგი თანამდებობიდან 2011 წლის ზაფხულში ნავა, 70-ე დაბადების დღემდე ნახევარი წლით ადრე. მანამდე დრო საკმარისადაა, თუმცა, როგორც „ოლდ ტრეფორდიდან“ გამოსული ხმები გვარწმუნებენ, სამუშაოც ბევრია, რადგან ჯერ გამოკვეთილ კანდიდატს ვერავის ვუწოდებთ. როგორც „ხმები“ ამბობენ, „იუნაიტედში“ თანამედროვე ფეხბურთის გამორჩეულ ფიგურებს აკვირდებიან, მათ სასარგებლო და სანინააღმდეგო არგუმენტებს განიხილავენ და გამოკვეთილი ფავორიტის შერჩევას ასე ცდილობენ. როგორც მოსალოდნელი იყო, „იუნაიტედში“ ყველაზე მეტად გული **ჯონზე მოურინიოსკენ** მიუწევთ. ამის ნიშნები აღრეც მრავლად ჩანდა და დაკვირვებული კაცისთვის ამაში გასაკვირი არაფერია. და მაინც, „იუნაიტედის“ ორნიტაზე მოტრიალე ადამიანთა გვარიანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოურინიო მათი გუნდისთვის შესაფერისი არ არის. ერთი მხრივ, „ჩელსის“ ყოფილი ბოსი ტიტულების მოხვეჭაში გა-

სერ ალექსის შემცვლელად ყველაზე სასურველი კანდიდატია ჯოზე მოურინიო

მოცდილი კაცია და თვით ჩემპიონთა ლიგაც კი აქვს მოგებული, მაგრამ მეორე მხრივ, ის იმ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნება, რომლებიც ერთ სამსახურში წლობით ვერ ჩერდებიან და სულ ახალ შთაბეჭდილებებს ეძებენ. ეს, ფერგიუსონის 25-წლიანი ერთგულებისა და მის მიერ შექმნილი ისტორიის ფონზე მთლად მანჩესტერულად ვერ ჟღერს. მანჩესტერელთა ჩანაფიქრით მათი გუნდისთვის იდეალური მწვრთნელი ის კაცი იქნება, ვინც ფერგიეით წარმატებათა მორიგ ეპოქას შექმნის. მოურინიო? ის ასეთი კაცი არ ჩანს, რადგან „ინტერში“ მხოლოდ და მხოლოდ მეორე წელინადია, რაც მუშაობს და უკვე ნასვლაზე დაინყო ლაპარაკი. ამბობენ, რომ მას ესპანეთში უნდა გადასვლა, რადგან ამბიციური კაცია და სურს ევროპის სამი უდიდესი ლიგის ჩემპიონის ტიტული მოიპოვოს. მერედა, თუ ეს „ბარსელონას“ თავკაცის რანგში მოხდება, მოუ უბედნიერესი ადამიანი იქნება, რადგან მას კარგად ახსოვს ის დღეები, როდესაც „ბარსას“ თავკაცი **ბობი რობსონი** იყო, მას კი ბარსელონელები თარჯიმანს ეძახდნენ. ეს „თარჯიმანი“ „გაწაკუთრებულს“ გუღში ხინჯად აქვს.

ახლა კი, თქვენ ნებართვით რამდენიმე მწვრთნელს ჩამოვთვლით, რომელთა კანდიდატურასაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფისში განიხილავენ. ვნახოთ, აქვთ თუ არა ამ ადამიანებს „იუნაიტედისთვის“ დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ფაბიო კაპელო

დადებითი მხარე: გამოცდილი კაცია, მოუგია ესპანური და იტალიური ტიტულები. უეინ რუნის „ოლდ ტრეფორდზე“ დატოვებს.

უარყოფითი მხარე: საეჭვოა 2012 წლამდე ინგლისის ნაკრების წვრთნას თავი დაანებოს. მერედა, გაისად ამ დროს უკვე 65 წლისა იქნება.

პეპ გვარდიოლა

დადებითი მხარე: ახალგაზრდა მწვრთნელია, რომელიც ინგლისურად შესანიშნავად ლაპარაკობს და „ბარსელონას“ ტიტულს ტიტულზე აგებინებს.

უარყოფითი მხარე: თავს „ბარსელონას“ ოჯახის მარადიულ წევრად მიიჩნევს და ბევრის აზრით, მისი „ეამპ ნოუდან“ ნამოყვანა შეუძლებელი იქნება.

არსენ ვენგერი

დადებითი მხარე: აქვს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელის რეპუტაცია და ნიჭიერ ყმაწვილთა აღმოჩენისა და აღზრდის უნიკალური ნიჭი.

უარყოფითი მხარე: მის უნაკლო კარიერას „არსენალის“ ხუთწლიანმა უტიტულო პერიოდმა შავი ლაქა დაასვა.

მარტინ ონილი

დადებითი მხარე: ძალიან დიდი ხანია „მანჩესტერ იუნაიტედის“ მორიგ მწვრთნელად განიხილავენ.

უარყოფითი მხარე: ამბობენ, რომ ფეხბურთზე გული აუცრუებდა. „ასტონ ვილა“ მეოთხე ადგილზე ვერ გაიყვანა.

გუუს ჰიდინკი

დადებითი მხარე: გაუწვრთნია ისეთი გუნდები, როგორებიცაა „რეალი“ და „აინდჰოვენი“, შთაბეჭდილება მოახდინა „ჩელსის“ დროებით მწვრთნელობის დროსაც.

უარყოფითი მხარე: კლუბებში მუშაობას ნაკრებებში მუშაობა უჯობს. ახლახან თურქეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

ინგლისის ნაკრები

დოუსონმა აინყვიტა

მაიკლ დოუსონი ფაბიო კაპელოს გუნდის კარზე დიდი ძალით აკაკუნებს - „ტოტენჰემის“ ცენტრალურმა მცველმა ლონდონელთა ბოლო ორ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა. მერედა, ხომ კარგად გახსოვთ, ვის მოუგო „სფურზმა“ ამ ორ ტურში? არც მეტი, არც ნაკლები „არსენალსა“ და „ჩელსის“.

ინგლისის ნაკრების იტალიელმა თავკაცმა პირადად ნახა დოუსონის თამაში „უაით ჰართ ლეინზე“ გამართულ როგორც ერთ, ასევე მეორე შეხვედრაში და, ვფიქრობთ, ახლა მაბაათს, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშსაც დაესწრება. სავარაუდოდ, სწორედ აქ გადაწყდება იორკშირელის ბედი. თუ 26 წლის დოუსონი გამოცდას ჩაიბარებს, ის მოხვდება იმ 30 კაცში, ვინც ავსტრიაში მსოფლიოს ჩემპიონატის წინა შეკრებაზე გაემგზავრება და რომელთაგან საბოლოოდ უნდა ამოიკრიჭოს ის 23, ვინც საბრძოლო ატრაკტში გაემგზავრება.

მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრებს დაცვის ცენტრში პრობლემები აქვს. **რიო ფერდინანდი** ზურგს უჩივის და ხან ჯანმრთელადაა, ხანაც ავადმყოფობს. **ჯონ ტერი** კარგ ფორმაში ვერ არის, **ჯონათონ ლესლოტი** ორთავა კუნთის ტრავმას ებრძვის და ვერ დაუმებია, **ვეს ბრაუნი** კი მოტეხილ ფეხს მკურნალობს. ლაპარაკია **ლედლი კინგზეც**, თუმცა ამ ფეხბურთელს მოხლი მალიმალ შეახსენებს ხოლმე თავს. ასე რომ, დოუსონის ნაკრებში აყვანა შეიძლება ფრიად აქტუალური გახდეს.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

მაიკლ დოუსონი ნაკრებისკენ მიილტვის



დავიდ ნგოკ გაიქცა მეორე გოლი ლონდონელთა კარში

კი მოიგო ლივერპულმა, მაგრამ...

„ლივერპულმა" „ენფილდზე" ოროლად მოიგო - 3:0. მისი მეტოქე „ვესტ ჰემი" გახლდათ. ამ გამარჯვებით მერსისაიდელებმა მეოთხე ადგილზე გასელის მცირალი მანსი შეინარჩუნეს, ლონდონელებს კი პრემიერლიგაში დასარჩენად სამი თამაშიღა დარჩათ. თუ მომავალ სეზონშიც უძლიერესთა შორის უნდათ თამაში, ამ ცხრა შესაძლებლიდან მაქსიმუმის მილება უნდა სცადონ.

საკმაოდ შეუხედავ პირველ ტაიმში მასპინძელთა ორი გოლი „ვესტ ჰემის" ყოფილმა ნახევარმცველმა **იოსი ბენაიუნმა** და **დავიდ ნგოგმა** გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი ლონდონელთა გოლკიპერმა **რობერტ გრინმა** უიღბლობით საკუთარ კარში შეაგდო.

ის, რომ ამ შეხვედრაში „ლივერპული" მოიგებდა, ეჭქვს იმთავითვე არ იწვევდა. „ენფილდზე" „ნითლებს" „ვესტ ჰემისთვის" ზედიზედ ათი მეხვედრა აქვს მოგებული - „ჩაქუჩებს" ხომ ამ სტადიონზე გამარჯვება 1963 წლის შემდეგ არ უზეიმიათ. თუმცა, მერსისაიდელები დიდი პრობლემების წინაშე დგანან და ეს საქვეყნოდ გახლავთ ცნობილი. კერძოდ, გუნდს დიდი დარტყმა **ფერნანდო ტორესის** ტრავმამ მიაყენა. ესპანელი ფორვარდი **რაფა ბენიტესს** სეზონის ბოლომდე აღარ ეყოლება და კარგად თამაშობენ სხვა გუნდები. „ტოტენჰემი" თამაშს თამაშზე იგებს, თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედთან" რიული შეხვედრაც წინ აქვს. იქნებ მაქეს, რომ ამ შეხვედრას „იუნაიტედი" მოიგებს".

ლივერპული-ვესტ ჰემი 3:0

ლივერპული: რეინა, ჯონსონი, კარაგერი, კარაკასი, ალონსო, ლუკასი, ჯერარდი (72. მასკერანო), ბენაიუნი (78. დჟიუნი), მაქსი როდრიგესი, ნგოგი (81. ბაბელი, ჯოტე).

ვესტ ჰემი: გრინი, ანსონი, და კოშტა, სპეტგორი (80. დამარელ), ფოლერი, ნობლი, კოული, ბერომბა, სტანისლასი (46. გილერმი), ალანი, კ. კოული (72. მაკკარტი).

გოლები: 1:0 ბენაიუნი (19), 2:0 ნგოგი (29), 3:0 გრინი (59-საკ. კარში)

გაფრთხილება: 0-2, კუთხური: 9-2, **ჯარიმა:** 9-13; თამაშდარე 2-1, **კარის დარტყმა:** 22-5 (6-2), **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

მაყურებელი: 37 697

	თ	ა	შ	ნ	ბ	ქ
1. ჩელსი	35	24	5	6	86-32	77
2. მანჩესტერ იუნ.	35	24	4	7	78-27	76
3. არსენალი	35	22	5	8	78-39	71
4. ტოტენჰემი	34	19	7	8	62-34	64
5. მანჩეს. სიტი	34	17	11	6	69-42	62
6. ლივერპული	35	17	8	10	57-33	59
7. ასტონ ვილა	34	15	13	6	48-35	59
8. ევერტონი	35	14	12	9	57-48	54
9. ბირმინგემი	35	12	11	12	35-43	47
10. ფულჰემი	34	11	10	13	35-37	43
11. სტოკი	34	10	13	11	33-37	43
12. ბლეკბერნი	35	11	10	14	37-53	43
13. სანდერლენდი	35	10	11	14	46-53	41
14. ბოლტონი	35	9	8	18	38-63	35
15. უიგანი	35	9	8	18	33-66	35
16. პორტსმუთი	35	8	10	17	28-51	34
17. ვესტ ჰემი	35	7	10	18	41-60	31
18. ბოლი	34	6	10	18	32-70	28
19. ბლექპული	35	7	6	22	37-74	27
20. პორტსმუთი	35	6	6	23	29-62	15*

ილია ბაბუნაშვილი

ჯო კოული და პატარა რუბი

ჩოგბურთელი რუბი

რა უნდა მოიგოს „ჩელსის" ვარსკვლავმა **ჯო კოულმა** ფეხბურთში, ასეთი ბუნებრივი სახე რომ ჰქონდეს? იცნობდეთ, პატარა, რომელიც კოულს ხელთ უპყრია **რუბი ტატიანა** გახლავთ, გარმარების ერთი თვის გოგონა. „დეილი მეილის" ფოტორეპორტიორებმა ვარსკვლავსა და მის ოჯახს ფოტოები დასვენების დღეს გადაუღეს. 28 წლის ჯო, მისი მეუღლე, 25 წლის კლერი და პატარა რუბი ტატიანა ცხოვრებას ერთად შეპხარობენ.

ლონდონური სახლის კიბესთან მდგომმა ამპყრა კოულმა თავისი პატარა მეზობლებსაც კი გააცნო. რუბი ტატიან 18 მარტს ინგლისის დედაქალაქში, კერძო პორტლენდ ჰოსპიტალში დაიბადა.

ჯო და კლერი მართლაც იელისში დაქორწინდნენ, აპრილის დასაწყისში კი ოჯახმა პატარას ფოტოები მსოფლიოს ჟურნალ „პეელოს" საშუალებით გააცნო. ბავშვის ფოტოებს ინტერვიუც ახლდა, სადაც კლერი კოული ამბობდა:

„რუბი ტატიანა მამას გოგო იქნება - ეს აქედანვე ეტყობა. რომ ვუყურებ, ზედგამოქრილი მამამისია. ჯო უკვე იმას ამბობს, რომ გაიზრდება რომელ სპეციმაში ივარგებსო. უნდა, რომ ჩოგბურთის თამაში ასწავლოს. ჯო მშრძილი ხასიათის კაცია და ეჭქი არ არის, მე და პატარას ყველაფერში დაგიცავს".

ილია ბაბუნაშვილი

ანდრეა პირლოს ეჭვი აღარ ეპარება, რომ მილანი სუპდგტოს ვერ მოიგებს

ᲡᲙᲣᲓᲔᲗᲝ ᲐᲠᲐ, ᲘᲡᲐ...

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝ ᲑᲔᲓᲚ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲓᲐ. ᲠᲐ ᲘᲫᲚᲔᲒᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ?

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ „ᲛᲘᲚᲐᲜᲔᲚᲘ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲛᲗᲔᲠᲜᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲭᲣᲚᲘᲡᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲔᲠᲤᲘᲜᲔᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛ **ᲔᲚᲝᲜᲐᲠᲓᲝᲡᲗᲕᲘᲡ** ᲡᲐᲛᲔᲒᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲣᲞᲓᲒᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲛᲜᲐᲮᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲔᲖᲛᲐ „ᲠᲝᲛᲘᲜᲔᲠᲛᲐ“ ᲣᲙᲐᲠᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲠ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲣᲓᲐᲔᲪᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲜᲓᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲔᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲛᲘᲚᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲘᲪᲮᲕᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠ ᲚᲘᲒᲐᲓᲐᲜ ᲐᲮᲐ ᲗᲣᲙᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲣᲛᲔᲠᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲣᲠᲣᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

„ᲓᲚᲔᲛᲓᲔ ᲑᲣᲠᲗ ᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲚᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲘᲓᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲡᲘᲜᲔᲠᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲙᲔᲗᲔ ᲛᲔ, ᲛᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲕᲧᲝᲤᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲓᲐᲜᲔᲚᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ: „ᲡᲐᲛᲫᲦᲠᲝᲜᲐᲚᲘ“, „ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝᲡᲘ“ ᲓᲐ „ᲜᲐᲛᲝᲚᲘ“. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲒᲐᲕᲐᲒᲘᲪᲘ ᲐᲜ ᲡᲣᲞᲓᲒᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ?“

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ „ᲠᲝᲛᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗᲔᲒᲝ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐᲜ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲣᲪᲔᲛ: „ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲗᲮᲔᲡᲘᲜᲔᲑᲔᲡ ᲣᲥᲓᲐᲜᲐᲡ ᲪᲑᲠᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲛᲘᲜᲐᲓ, ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲓᲦᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲔᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲛᲘᲚᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲐ ᲥᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲝ ᲡᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

„ᲓᲘᲐᲮ, ᲛᲔ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲛᲔᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲘᲓᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲝ ᲡᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲛᲔᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲘᲓᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲔᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲛᲘᲚᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ერთადერთი სპეციალიზებული გაზეთი წარმოგიდგენთ მონაცილეებს

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი

ჩილე

ჩილეს ნაკრებს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სამხრეთამერიკული ფეხბურთის აუტსაიდერებს განეკუთვნებოდა, არარაერულ მინუსებს არ ისახავს, თუმცა „სასნაულების ლიმიტი“ ჯერ არ ამოუწურავს. ასე თუ ისე, იმაში დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ „ლა როხა“ (ეს მეტსახელი გუნდს ნიღბელი ფორმის გამო მისცეს) თავის გულშემაძაკვიარს სირცხვილს საბაბს არ მისცემს.

მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში ღირსეულად გამოსულის (მეხუთე ადგილი საერთო კლასიფიკაციაში) შემდეგ, „ლა როხა“ მომდევნო ნელებში შემჭიდროებულ შემთხვევებამდე ხუთეულად შემთხვევებამდე ფინალისტთა შორის. ჩილეს 1962 წელს, „საშინაო“ ჩემპიონატში თამაში გარანტირებული ჰქონდა და იქ მეოთხედფინალში სსრკ-ის ნაკრების დამარცხების შემდეგ (2:1) ნახევარფინალში გაალენა, სადაც ბრაზილიის ნაკრებთან ნაგო. მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა რევანში აუღო სამხრეთამერიკელებს, 1973 წელს კი ბედმა ეს ნაკრებები კიდევ ერთხელ შეახვედრა ერთმანეთს, ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელ საკლეთიფო მატჩებში. პირველი შეხვედრა მოსკოვში ფრედ - 0:0 დასრულდა, მეორეში კი საბჭოელებს გამოუცხადებლობისთვის ტექნიკური ნაგება ჩაეთვალათ - პარტიულმა ბოსებმა ფეხბურთელებს ავარტიდების ქვეყანაში ვოიაჟი აუკრძალეს.

1982 წლის ჩემპიონატში ნარუმატებელი გამოსულის შემდეგ ჩილემ სამი ჩემპიონატი გამოტოვა, აქედან ორი (1990 და 1994 წლებში) მაშინდელი მეკარის **რიკარდო როხასის** (მეტსახელად „კონდორი“) მიზეზით. 1990 წლის შესარჩევი ციკლის მატჩში ჩილე ბრაზილიასთან 0:1-ს აგებდა, როცა როხასმა პენალტით დაჭრის სცენა გაითამაშა - ეს ჩილეს საფეხბურთო ხელმძღვანელობის გეგმის ნაწილი იყო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ გადათამაშება დაინიშნებოდა და თამაშს „მარკანაადან“ ნეიტრალურ მოედანზე გადაიტანდნენ. მაგრამ ჩილელებს ეშმაკობას მოუხდნენ - ნაკრები მოიხსნა შესარჩევი ტურნირიდან და მომდევნო ციკლში მონანიელეობის უფლებაც ჩამოერთვა, როხასს კი თავიდან სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ათი წლის შემდეგ ამპატიეს.

დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ჩილეს ნაკრები დიდი გაჭირვებით გაეცა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. იმ გუნდში მთავარ როლს შემტევი დუეტი - **Za-Sa (იგან სამორანო-მარსელო სალასი)** თამაშობდა. ამ ფორვარდებმა გოლების საერთო რაოდენობის 70 პროცენტი გაიგანეს. ამასთან სამორანო 12 გოლით შესარჩევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მატაყორი სალასი 11 ბურთით მეორე ადგილზე გავიდა. საფრანგეთში ნატურალურ ზომაზე გადიდებული ფოტო

რალიზებული ურუგვაელის **ნელსონ აკოსტას** დამძიმებული ჩილეელები ჯგუფიდან მეორე ადგილზე გავიდნენ. მათ სამივე თამაში ფრედ დაასრულეს (2:2 - იტალიასთან, 1:1 - ავსტრიასთან და კამერუნთან), მაგრამ 1/8 ფინალში ბრაზილიასთან განადგურდნენ - 1:4.

„ლა როხა“ ვერ მოხვდა 2002 წლის ჩემპიონატზე, თანაც შესარჩევ ჯგუფში კატასტროფული მარცხენებლებით (3 მაგება, 3 ფრე, 12 ნაგები) ბოლო მეათე ადგილი დაიკავა. აკოსტა ტურნირის მსვლელობისას გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმაც ვერ შეძლეს სიტუაციის გამოსწორება. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა მათგანმა - **ხუვენალ ოლმისმა** მომდევნო ჩემპიონატის კვალიფიკაცია ჩააგდო, აკოსტა დაბრუნდა, მაგრამ სულ ცოტა ხნით. გამოცდილ მწვრთნელს ჩაეტყობილი და არანაირი სანახაობრივი ფეხბურთისთვის აკრატეხდნენ, მოთმინების ფიალა კი 2007 წლის კოპა ამერიკაზე ბრაზილიასთან 1:6 ნაგების შემდეგ აივსო.

■ ■ ■

მოსაზრება იმის შესახებ, რომ გუნდის წარმატებაში მწვრთნელს ათპროცენტიანი წვლილი აქვს, ჩილეს ნაკრებში 54 წლის **მარსელო ბიელსას** მოუპოვებამ გააქარწყლა. იმ 25 წლის განმავლობაში, რაც ბიელსა სამწვრთნელო მოღვაწეობით არის დაკავებული, მისი პიროვნება უამრავი მითის, ჭორისა თუ ხუმრობის საგანი გახდა. ეს ამბები იმდენად უცნაურად ჟღერდა, რომ ბევრს უჭირდა მისი დაჯერება. და მაინც, პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც წერენ და ამბობენ ამ არაოდინარულ სპეციალისტზე (მეტსახელად El Loco - „გიჟი“) სინამდვილეს შეესაბამება. „ნიუელს ოლდ ბოისის“ მწვრთნელობისას ბიელსა ძველი სატვირთო მანქანით მთელ არგენტინაში მოგზაურობდა ნიჭიერი მოთამაშეების მოსაძებნად; საბრძოლო ხელფუძმარით დახედა მის საბლში საქმის გასარჩევად შეძრწილ „ბარბარავასებს“; ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა; ყველანაირ ღონისძიებაზე მხოლოდ სპორტულ ტანსაცმელში გამწყობილი ცხადდებოდა... ამ სტილისთვის მას არც ჩილეში უღალატია, სადაც ფეხით ან ველოსიპედით იშვიათად გადიოდა პროდუქტებზე, თვეში 1000 დოლარით ცხოვრობდა და ავიწყდებოდა მისთვის კონტრაქტით გათვალისწინებული მილიონის მიღება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბიელსას ურთიერთობა პრესასთან, რომელთანაც დისტანციაზე ყოფნას ამყოფებინებს როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ასე მაგალითად, არგენტინის ნაკრების მწვრთნელობისას, „ელ ლოკომ“ ჟურნალისტებისთვის ასმეტრიანი „აკრძალული ზონა“ დაანესა და მათ მიხდორთან მიახლება აუკრძალა. ექსკლუზიურ ინტერვიუს არასოდეს იძლევა, რადგან მიაჩნია, რომ ადამიანს შეუძლია დაამახინჯოს მის მიერ ნათქვამი სიტყვები. მეორე მხრივ, მარსელო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არც ერთი კითხვა არ დარჩეს დაწერილებით პასუხის გარეშე. სხვანაირად როგორ შეიძლება მწვრთნელის პრესკონფერენცია სამ-ოთხი საათი გაგრძელდეს, რომლის ნახევარი დრო ტაქტიკის გახნილვას ეთმობა. ბიელსას ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ასე ჟღერს: „ფეხბურთი - ეს მუდმივი მოძრაობაა. უნდა ირბინო და ერთ ადგილზე არ უნდა დადგე. ნებისმიერი მოთამაშისთვის მოთხრება მინდორზე სირბილის საბაბი“. და ჩილელები გაიქცნენ...

2009 წლის შემოდგომაზე, როცა სირბილი წარმატებით დასრულდა, განსაკუთრებით აღფრთოვანებული გულშემატკივრების ჯგუფმა ბიელსა... წმინდანად გამოაცხადა. მათ მწვრთნელს მოუძღვნეს ვებგვერდი, სადაც მოცემული იყო ლოცვების ტექსტები, რომელიც უნდა ნაიკითხონ იმისთვის, რომ „ლა როხამ“ გამარჯვებებს მიაღწიოს. და თუ თქვენ სამხრეთ ამერიკაში ზეცის,ენ მზერამიპყრობილ მოწურწყლე ჩილელს დაინახავთ, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ის ნაკრებისთვის ლოცულობს.

■ ■ ■

მაგრამ ჩილეს ნაკრები მხოლოდ ბიელსათი არ არის ძლიერი. შესარჩევი ტურნირის წინ გუნდის ოფიცრები მნიშვნელოვანად გაფხალისდა. როგორც მისალოდნელი იყო, „ლა როხამ“ ტურნირი ნახევრადცველ **დვიდ ბისარის** გარეშე დაიწყო, რომელიც ჯერ კიდევ 2005 წელს წავიდა ნაკრებიდან უცნაური მიზეზით - ერთერთულ გუნდში პარტნიორების არაპროფესიონალიზმის გამო. თუ რა ჰქონდა ბისარის მსედველობაში, ეს 2007 წლის კოპა ამერიკის მსვლელობისას გაირკვა, როცა **რენალდო ნავიამ, ალვარო ორმეჩიომ, ხორხე ვარგასმა, ხორხე ვალდივიამ, პაბლო კონტრერასმა და როდრიგო ტელიომ** ბრაზილიასთან მეოთხედფინალური მატჩის წინ მთვრალებმა სასტუმროში დებოში მოაწყეს, რის გამოც ჩილეს ფეხბურთის ფედერაციამ მათ ხანგრძლივი დისკვალიფიკაციები გამოუნერა (თუმცა სამ მათგანს ეს ვადა შეუმცირეს). დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემის გამო ნაკრებს კიდევ ერთი თვითმყოფადი ფეხბურთელი - **მაურისიო პინილია** ჩამოშორდა, ხოლო უკვე შესარჩევის ციკლის მსვლელობისას კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა მარსელო სალასმა.

გუნდის საშუალო ასაკი ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ გუშინდელმა რეზერვისტებმა შეძლეს ლიდერის ტვირთის ღირსეულად ზიდვა. კარში ადგილი და კაპიტნის სამკლაურო მცირედ უპყრია **კლაუდიო ბრავოს**, რომელსაც ყველა ასაკობრივი ნაკრების სკოლა აქვს გამოვლილი. გამორიცხული არ არის, რომ ადრე თუ გვიან, ის ჩილეს ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მეკარედ მოინათლება. დაცვის ხაზში ძირითადი დატვირთვა **პაბლო კონტრერასისა და ჰარი მედელის** მხრებზე გადადის, ნახევარდაცვაში ბევრი რამ არის დამოკიდებული **მატიას ფერნანდესის** დისციპლირებულ ფსიქებებზე, ფლანგებიდან თამაშის გამწვავებისთვის კი **ალექსის სანჩესი** და **მარკ გონსალესი** არსებობენ. შეჭედვაში „ლა როხას“ შეტაკანი პენალტისტის **უმბერტო სუასოს** იმედი აქვს, რომელიც შესარჩევი ციკლის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამასთან, ჩილელებმა მთელი გუნდით იციან თავის დაცვაც და შეტევაში თამაშიც და მათი ხასიათიდან გამომდინარე, ამას ისინი სრული თავდადებით აკეთებენ.

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

ჩილე

ჩილეს ფეხბურთის ფედერაცია 1895 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1913 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში მე-16 ადგილი უკავია.

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962), სამჯერ ამერიკის ვიცე-ჩემპიონი (1955, 1956, 1979; 1987). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (2000)

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შვიდჯერ თამაშობს, ჩააგარა 25 მატჩი: +7-6-12, ბურთების შეფარება: 27-40

მთავარი მწვრთნელი: მარსელო ბიელსა (არგენტინა)

ნაკრების რეკორდსმენი ჩაგარებული თამაშების რაოდენობით: ლეონელ სანჩესი (84)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - მარსელო სალასი (37)

ჯგუფური ეტაპი

16 ივნისი. ჰონდურასი-ჩილე (ნელსა-რეტატი)

21 ივნისი. ჩილე-შვეიცარია (პორტელოზატტი)

25 ივნისი. ესპანეთი-ჩილე (პრტგორია)

შესარჩევი ტურნირი

13.10.07 არგენტინა-ჩილე 2:0
17.10.07 ჩილე-პერუ 2:0 (სუასო, ფერნანდესი)
18.11.07 ურუგვაი-ჩილე 2:2 (სალასი-2)
21.11.07 ჩილე-პარაგვაი 0:3
15.06.08 ბოლივია-ჩილე 0:2 (მედელი-2)
19.06.08 ვენესუელა-ჩილე 2:3 (სუასო-2, ბარა)
07.09.08 ჩილე-ბრაზილია 0:3
10.09.08 ჩილე-კოლუმბია 4:0 (ბარა, სუასო, ფუენტეს, ფერნანდესი)
12.10.08 ეკვადორი-ჩილე 1:0
15.10.08 ჩილე-არგენტინა 1:0 (ორელიანა)
29.03.09 პერუ-ჩილე 1:3 (სანჩესი, სუასო, ფერნანდესი)
01.04.09 ჩილე-ურუგვაი 0:0
06.06.09 პარაგვაი-ჩილე 0:2 (ფერნანდესი, სუასო)
10.06.09 ჩილე-ბოლივია 4:0 (ბოსკეტური, ესტრადა, სანჩესი-2)
05.09.09 ჩილე-ვენესუელა 2:2 (ვიდალი, მილარი)
09.09.09 ბრაზილია-ჩილე 4:2 (სუასო-2)
10.10.09 კოლუმბია-ჩილე 2:4 (პოსსე, სუასო, ვალდივია, ორელიანა)
14.10.09 ჩილე-ეკვადორი 1:0 (სუასო)

შესარჩევის ითამაშეს

მეკარეები

კლაუდიო ბრავო	13.04.83	სპორტინგი (ესპ)	18	-

მცველები

გონსალო ბარა	29.08.85	ვესტ ბრომვიჩი (ინგ)	13	2
ვალენტინ პოსი	04.12.82	უნ. კატოლიკა	13	1
ჯარი მედელი	03.08.87	ბოკა ხუნიორსი (არგ)	12	2
არტურო ვიდალი	22.05.87	ლევერკუზენი (გერ)	11	1
რუბენრატო სარაველა	10.10.84	კოლო კოლო	10	-
ისმაილ ფუენტეზი	04.08.81	უნ. კატოლიკა	8	1
პაბლო კონტრერასი	11.09.78	პაოკ (საბ)	5	-
მაურისიო ისლა	12.06.88	უდინეზე (იტა)	5	-
ჰიგელ რიფო	21.06.81	კოლო კოლო	4	-
ჯრისტიან პლაზარესი	14.11.80	ბაბუშკისი (ჩექ)	3	-
რუდოლფო ტელიო	14.10.79	ბუშიდოსპი (უსრ)	1	-

ნახევარმცველები

მატიას ფერნანდესი	15.05.86	სპორტინგი (პრტ)	15	4
მარკ გონსალესი	10.07.84	ცსკა (რუს)	13	-
ალეხანდრო სანჩესი	19.12.88	უდინეზე (იტა)	12	3
ქარლეს ქარდონა	21.02.87	რუბინაა (იტა)	11	-
მარკო ესტრადა	28.05.83	უნ. დე ჩილე	9	1
უგო დერეტტი	02.09.82	მერსელია (ესპ)	6	-
რუდოლფო მილიარი	03.11.81	კოლო კოლო	6	1
ხურხე ვალდივია	19.10.83	ალ ჰილი (საუდ)	6	1
მაიკელ ლოპესი	02.06.84	უნ. დე ჩილე	5	-
გონსალო ფიგეროა	21.03.83	ფლამენგო (ბრა)	4	-
ედუარდ მორალესი	25.05.85	დინამო (ხრრ)	4	-
ქარლოსი ვილანუევა	05.02.86	ალ-ზამალეკი (საუდ)	3	-
ალუვედრო გალდინადეზ	03.01.80	ფლამენგო (ბრა)	2	-
ლუის ხიმენესი	17.06.84	ქარმა (ესპ)	2	-

თავდამსხმელები

უმბერტო სუასო	10.05.81	სარაგოსა (ესპ)	18	10
ჯან პოსეტური	01.06.84	ამპრიმა (ესპ)	12	1
ფაბიან ორელიანა	27.01.86	ხერესი (ესპ)	5	2
მარსელო სალასი	24.12.74	დასხარუელა ქარიერა	4	2
ედუარდო ვუჯაჩი	07.11.83	უნ. ესპანიოლა	4	-
ალბერტ მანილიოა	12.11.80	ტოლუკა (ჩექ)	2	-
ისტებან პაბეზესი	01.08.80	კოლო კოლო	1	-

ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

სუპერლიგა მოითხედფინალი

სტუდენტური დერბი ნახევარფინალში

20 აპრილი, თბილისი

სპორტის სასახლე

აგარაკელი-დინამო 98:91

27:15, 21:11, 25:30, 25:35

აბრარული: გულისაშვილი (10ქ, 33, 5ჩ, 5ფ), ჩაჩიბაია (14ქ, 11ჩ, 3ა, 4ჩ), ნოვნოვაძე (20ქ, 4ა), მარხვაშვილი (3ქ), ნინიაშვილი (5ქ, 7ჩ), აბაქელიშვილი (10ქ, 7ჩ), გ. ბარბაძაძე (4ქ), მაისაშვილი (17ქ, 10ჩ, 4ა), დელია (15ქ, 5ჩ, 3ა)

დინამო: ხახიაშვილი (9ქ, 5ჩ, 3ჩ), ნანიტაშვილი (3ჩ), სანაძე (10ქ), ვეფხვაძე (4ა), სიგუა (21ქ, 5ჩ, 4ა, 4ჩ), გეგიაშვილი (8ქ, 6ჩ), ჯანიაშვილი (4ქ), ჩაფლიაშვილი (3ქ), დეკანოიძე (13ქ, 9ჩ), ლორდკიპე (23ქ, 9ჩ, 2ა)

მაკრები: ზ. მაჩალიაძე, მ. ანდღულაძე

კრიტიკოსი: გ. ჯანელია

სარის მოედანი აბარაწულა - 2:1

აბრარული უნივერსიტეტის გუნდმა გუშინ „დინამო“ დამარცხა და ნახევარფინალში თსუ-ს დაუპირისპირდება.

აგარაკელებმა რეგულარულ ჩემპიონატში დინამოელებს ორჯერვე მოუგეს და ნინასწარ სულთროდათ, რომ **დავით თორთლაძის** გუნდს მეოთხედფინალშიც ეფლობებოდნენ. სწორედ ასეთი თავდაჯერებას დინამოელთა ზემოწონდობა დაღრმით და შედარებით გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ სტუდენტებს დიდებულთა გასახტებად სამი მაგრი დასჭირდათ.

პირველ ორთაბრძოლაში **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა ნინ გაგრილი დინამოელების გადასხრება მეორე ტაიმში მოახერხეს. მეორე მატჩში დავით თორთლაძის გუნდმა ორნიშნა, რომ აგარაკელის ძლევა შეიძლებოდა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ამ გუნდების მესამე დაპირისპირებას უნდა გაეჩქარა, ხახეკვარნიანში თსუ-ს ვინ „დაეცქიდებოდა“. ნინა შეხვედრების გაკვეთილები სამაგალითო აღმოჩნდა „აგარაკელის“ კალათბურთელებისთვის და მოედანზე სათანადოდ კონცენტრირებულები გამოვიდნენ. დაცვაში მწყობრი თამაშის წყალობით სსუა-მ პირველ ტაიმში 48:26 მოიგო. „დინამოს“ მეფყრედებისთვის ოღი არ იყო მეტოქის ტანმაღალებთან მოხსნებისთვის პრობლემა. ეს ოქმნიც აისახა: „აგარაკელებს“ „დინამოს“ მოხსნებში 49:38 ჰქონდა.

მეორე მეოთხედში მოწყობილ სტუდენტურ გაქცევაში პერიმეტრიდან დიდი წვლილი შეიტანეს **ბექა ნინოხაძემ** და **რეზო დიდიამ**. რეზომ 4 სამქულიანი ისროლა და ოთხჯერვე მიზანს უნია.

მესამე პერიოდმა თანაბარ პრძოლაში ჩაიარა და გამოცდილი „აგრარული“ მატჩის ბოლო 5 წუთს 25-ქულიანი ფორით შეხვდა. ეს უკვე გამარჯვების მოასწავებდა, მაგრამ დაცით თორთლაძემ შეგირდებს ნაგებსთან შეგუებაში უფულება არ მისცა - მეტოქის ნებისგარეშე დანეცებული პრესინგისა და **ნოდარ სიგუას** სამქულიანებმა დინამოელთა 12:0 სპურტი განაპირობა. საფინალო სარენამდე 14 ნამით ადრე კი სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა (96:89). დარჩენილ დროში დინამოელებმა განზრახ ჯარიმების ტაქტიკას მიმართეს, თუმცა ზემთოლ ოქმს გადაწდებედით და ამოკეთხვდით, რომ ნახევარფინალში „აგრარული“ გაეგდა.

„დინამოსთან“ მეოთხედფინალებმა მიხეილ კობეშავიძის შეგირდებს დაანახვა, რომ თსუ-სთან მაგრების წინ მაქსიმალური მობილიზება და ერთ მუშმაღ შეკერაა საჭირონ.

„აგარაკელთან“ ბრძოლებმა კი, ახალგაზრდა დინამოელები დაავალეთ - მათ შეუძლიათ საქართველოს ჩემპიონატში თავისი სიტყვის თქმა.

ამ დაპირისპირებებში საკალათბურთო საზოგადოებასაც დაანახვა შემდეგი რამ: საქართველოს კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწვრთნელი ჰყავს - დავით თორთლაძე, რომელმაც სეზონის პირველ ნახევარში **ზაზა ცაგარეიშვილის** დანეგების საქმე კარგად გაგიძღვა.

„აგრარული“-თსუ-ს ნახევარფინალები 25 აპრილიდან დაინყება.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთელები მინისტრთან

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა, **ნიკოლოზ რურუამ** ვეტერანი კალათბურთელები მიიღო. მენეჯერის მიზანი ქართულ საკალათბურთო ინფრასტრუქტურასთან, საქართველოს ჩემპიონატთან, ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები იყო. მინისტრმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ვეტერანი კალათბურთელების გამოცდილების გაზიარება და მათი ცოდნის გამოყენება ქართული კალათბურთის განვითარებისთვის.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: **ვაჟა ჭილენტი, ვაჟა გვანცელაძე, ილარიონ ხაზარაძე, ამირან სხირელი, გიორგი აბაშიძე, ანტონ კაზანჯიანი, ვალერი ლომაძე, ლევან ინწკირველი, ლევან მოსეშვილი, ილია მირანაშვილი, გივი ბიძინაშვილი, ნოდარ ქორქია, თამაზ კაკაურიძე, გია სანაძე და ნიკოლოზ დერიგინი.**

შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტსა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლაპარტელიანი.**

ვაჟა სიმონიშვილი

ოლიმპიური ფესტივალი

მასპინძლობა საერთო სურვილია

თბილისი 2015-ის მხარდასაჭერი აქცია კალათბურთით დაიწყო

თბილისი თუ ჩეხეთის ქალაქი ბრნო? ვინ გახდება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელი? ეს საკითხი ნლეულსვე ბელგრადში დაგეგმილ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდება, მანამდე კი თბილისის მერია და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აქტიურად მუშაობენ, რათა საქართველოს დედაქალაქს ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულება დაეკისროს.

„თბილისი 2015“-ის კამპანის ფარგლებში დღეს ავლაბრის მეგროსთან სეოკ-ის, ქალაქის მერიისა და კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით ფესტივალის მხარდამჭერი აქცია ქუჩის კალათბურთში გაიმართა. იქვე მომდინარეობდა თბილისში ამ ღონისძიების ჩატარების მომხრეთა ხელმოწერების შეგროვება.

სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა,** კალათბურთელებმა **ანაფოლა ბოისამ, გიორგი მარკოიშილმა, ვახტანგ ნაცვლიშვილმა,** მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა **ზაზა დოლიძემ** და სხვებმა კალათბურთი თავადაც თამაშეს. მომდევნო აქცია 29 აპრილს ხელბურთში იგეგმება ახმეტელის მეტროსთან.

ჩოგბურთი

დანაკარგის ანაზღაურებას ვერევანში შეეცდებიან

სპორტსმენების ფედერაციის თასის ნაკრები შარშანწინ ფედერაციის თასის გათამაშების პირველ ლიგაში გამოდიოდა, მაგრამ იქ ადგილის უნარჩუნება ვერ შეძლო და ევრო-ფორიკულ მეორე ზონაში ჩამოქვეითდა. ნლეულს ჩვენს გოგონებს დაკარგული პოზიციების დაბრუნების შანსი ეძლევათ — მომავალ კვირას ისინი ერევანს ეწვევიან, სადაც მ ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბებიან. ზედა ეშელონის ორი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად ქართველები, ფინელები, ბერძნები, ლიტველები, ლუქსემბურგელები, ნორვეგიელები და სამხრეთკორეელები იბრძოლებენ.

„საკმაოდ ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი - ანა ტატიშვილი, ოქსანა კალანძელოვა, სოფო მაფათაგა და მანანა შაფაძიე ძალიან კარგ სპორტულ ფორმაში არიან. თავად გახსოვთ: ტატიშვილმა ფლორენციის 220-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა და ძირითად ბადეშიც ერთი მეტოქე დამარცხა, გასულ კვირას კი ამერიკის 700-ათასიანი ტურნირშიც ასევე შეუფერხებლად გადალახა საკვალიფიკაციო ბარიერი, სადაც საკმაოდ ცნობილ ჩოგბურთელებს სძლია. შაფაძიემ ასპანიური ტურნირი მოიგო, ამჟამად ყაზახეთშიდეგ მეორე შეხვედრებში მონანილეობს. კალაძნკოვამ ოპპონენტრგში (სამხრეთ აფრიკა), შაფათავამ კი ბელგიის საერთაშორისო ტურნირებში მოსინჯეს ძალები. შემიძლია ვთქვა, რომ ყველა გუნდისთვის სერიოზული მეტოქე ვიქნებით, თუმცა ჩვენთვისაც ძნელი გადასალახავი იქნება საბერძნეთის, სამხრეთ აფრიკისა და ლუქსემბურგის ნარმომადგენელთა წინააღმდეგობა. მით უმეტეს, რომ ბენილუქსელთა შემადგენლობაში დღესაც წარმატებით თამაშობს ვეტერანი ჩოგბურთელი ანა კრამერი, რომელიც თავის დროზე მსოფლიო ლასაიფიკაციით 25ე საფეხურზე იყო. ყოველივეს მოუხედავად, ძალ-ღონეს არ დავზოგავთ პირველ ლიგაში აღსაზევებლად, რომელიც შარშანწინ უნდერეთში აზარენას (ბელარუსი) და დები რადვანსკების (პოლონეთი) გუნდებთან დამარცხებით დავთმეთ. დანაკარგის ანაზღაურებას ერევანში ვეცდებით", — გვითხრა ჩვენი ნაკრების კაპიტანმა **ლალი ზერკვიძემ.**

ვაჟა დანელია



მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 55 წელს ულოცავს ბერძნეთში ოლიმპიური ჭიდაობაში მსოფლიოს და ევროპის ორკრულის ჩემპიონს, მსოფლიოს სუპერთასის მფლობელს, შრავალჯერ ევროპაორგანოს მეფყრობელს და პრიზიორს, **საქართველოს 1983 წლის საუკეთესო სპორტსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოთარ აფხაზავას.**

ქადრაკი

ათწლიანებამაც დაიწყეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 20 წლის მოჭადრაკეთა ასპარეზობის შემდეგ საქართველოს პირველობაში 10-წლიანები ჩაებნენ, რომლებიც მეგალებთან ერთად მსოფლიო და ევროპელ თანატოლებთან გასაგებრებლად საგზურებსაც გაითამაშებენ.

ტურნირში 115 პიჭი და 54 გოგონა მონაწილეობს. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონის 34 წარმომადგენელი (22+12) დაწინაურდა.

ვაჟა დანელია

ვრეშეტიული კრივი

ორი მარცხი უიგანში

დიდი ბრიტანეთის ქალაქ უიგანში ორშაბათ ქართველმა პროფესიონალმა მოკრივემ სარეიტინგო ბრძოლები გადმართა. 23 წლის **გიორგი გაჩეჩილაძე** ბრძანებელ **კრეგ ლეონს** (10 ორთაბრძოლა, 10 მოგება) შეხვედა და ბოლო, მე-6 რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა. გიორგი პირველივე რაუნდში ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, თუმცა შემდეგ შეძლო ბრძოლის გათანაბრება და მე-3 რაუნდში ლითს ნარში გაუხეთქა. ყველაფერი თითქოს ქუღებით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ საფინალო გონგამდე ნუთით ადრე ლეონმა მარჯვენა ქროსით ჩვენებურო დაადგო, რეფერი **სტივ გრეიმაც** უმალ დაასრულა მატჩი. ქუთაისელმა მოკრივემ მე-8 შეხვედრა გამართა პროფესიონალებში და მესამედ წააგო.

საჩხერელმა **ნუგზარ მარგველაშვილმა** ქულებით წააგო ბელარუს **სერგეი გუსაკავეიჩთან** (31 მატჩი, 29 მოგება, 2 ნაგება) - 55:59.

ნიკოლოზ ნებუარიძე

სპორტი ყველასათვის

ქუთაისში უბნები გასპორტდნენ...

ქუთაისში უბნების შორის სპარტაკიადაში სპორტის 10 სახეობაში 12 გუნდი იბრძვის უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად. სპარტაკიადის საზეიმო გახსნას სპორტის სასახლეში ქალაქის მერი **გია თევდორაძეც** ესწრებოდა.

დასარულდა ასპარეზობა რამდენიმე სახეობაში. მკლავჭიდში გაიმარჯვა უქიმერიონის გუნდმა, რომლის ნევრები **ჯონი** (80კგ) და **გელა**(90) **რაზმაძეები** პირად ჩათვლაში პირველ ადგილებზე გავიდნენ, **გიგი თამლიანი**(70) კი მეოთხე იყო. მეორე გუნდური ადგილი ერგო ატბურძნის დასახლებას, მესამე – საფიჩისას. გირის ანეკდოტ ნაკეცებში გამოიჩინეს თავი. მათგან **გიორგი სახეჩიძემ** (80) პირველი ადგილი დაიკავა, **გოგა ფიფიამ** (90) - მეორე, **ავთო ჟორჟოლიანმა** (90) – მეექვსე. მეორე პრიზიორი გუნდურში გახდა კახიანური, მესამე - ატბურძნისელები. მძლეთანხობაში ადგილები ასე განანილდა: 1.ქალაქ-მუზეუში, 2. ავჭოქარხანა, 3.ნიკეა.

„სპარტაკიადაში მასობრივად არის ჩართული მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. ასეთი სპორტული ღონისძიების ჩატარება ქალაქისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, უკიმერეულად, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების თვალსაზრისით", – ვკითხრა ქალაქის ვიცე-მერმა **დავით გორგელაძემ.**

დავით ჯოხაძე

ქუთაისიდან

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საპრაქტიკო

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენ ხალისიანის ღღევანდელობა და ნინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეგანილი წვლილი.

დაწერილებით ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ᲝᲗᲮᲘ ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘᲐ, ᲝᲠᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ

ირაკლი მაჩხანელი

ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲒᲑᲝ ჩᲛᲘᲜᲐᲗᲘᲡ ფედერალ 1 დივიᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲣ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲔᲑᲐ ᲧᲣᲓᲐ ᲛᲘᲝᲪᲘᲝᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲘᲗᲘ ᲝᲗᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ — "ᲜᲘᲪᲘᲐᲗ", "ᲑᲔᲜᲔᲗᲝᲛ" ᲓᲐ "ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲝᲗ". "ᲡᲘᲜᲔᲚ ᲔᲢᲐᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ". "ᲝᲠᲚᲘ, "ᲔᲐᲚᲔᲡᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" ᲓᲐ "ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲚᲘᲡ" ᲑᲔᲓᲘ ᲗᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲗᲐ.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲐᲨᲔᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲡ. 24 ᲒᲣᲜᲓᲔᲠ ᲫᲔᲓᲡ ᲯᲒᲣᲤᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲚᲔᲒᲔᲑᲣᲚᲘ. ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘᲐ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡᲓᲔᲜ ᲝᲠᲛᲝᲠᲘᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯᲔᲠᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ.

A ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲑᲝᲚᲝᲡᲬᲘᲜᲔᲡ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲔᲗᲘᲗᲝᲓᲔ ᲬᲐᲐᲓᲛ **ᲗᲝᲛᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲘᲡ** "ᲝᲛᲔᲒᲐᲛ". ᲩᲔᲒᲔᲑᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲝᲠᲔᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ „ᲑᲣᲠᲜᲘ ᲡᲐᲛ ᲑᲠᲘᲚᲡᲐᲜ" - 10:44. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲘᲜᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲠᲣᲚᲧᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲛᲘᲜᲣᲠᲣᲚᲔᲡ ᲚᲔᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲐᲛ ᲯᲒᲣᲤᲛᲝᲓᲔᲜ ᲮᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲒᲣᲠᲘ ᲔᲠᲒᲛ „ᲚᲝᲛᲝᲡᲗᲜ", ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲢᲣᲓᲘᲜᲒᲘ ᲛᲝᲣᲒᲛᲐ „ᲨᲐᲒᲠᲔᲙᲜᲐᲠᲘ" - 29:20.

A ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ ᲛᲐᲠᲙᲔᲠᲘ: **ᲑᲣᲠᲙ ᲐᲜ ᲑᲠᲘᲡᲜ - 22 ᲪᲓᲔᲚᲘ, ᲚᲘᲛᲝᲜᲐ - 19, ᲨᲐᲒᲠᲔᲙᲜᲐᲠᲘ - 7, ᲝᲛᲒᲔᲑᲐ - 0**

B ᲯᲒᲣᲤᲣᲨᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲘᲓᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲑᲐᲐᲚᲬᲘᲜᲐ **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲙᲐᲮᲐᲠᲐᲫᲐᲡ** „ᲜᲘᲪᲘᲐᲗᲡ". ᲜᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡᲬᲘᲜᲔᲡ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲜ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲘᲡ ᲡᲣᲪᲮᲘᲐᲜᲔᲚᲘ „ᲯᲝᲠᲜᲘ" - 16:9. ᲛᲔᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲙᲐᲡᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲐᲚᲔᲡᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲮᲘᲜᲓᲔᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ. ᲛᲔᲫᲒᲔᲚᲘᲡᲔᲜᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲣᲪᲔᲚᲝᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲥᲣᲚᲘ.

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ ᲛᲐᲠᲙᲔᲠᲘ: **ᲗᲐᲚᲔᲜᲘ - 23 ᲪᲓᲔᲚᲘ, ნიკა - 17, ᲯᲐᲮᲐᲜᲒ - 7, ᲙᲝᲠᲜᲔᲠ - 1**

C ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲝᲪᲘᲐᲡ **ᲚᲝᲛᲐ ᲛᲐᲚᲔᲡᲣᲠᲐᲫᲘᲡ** "ᲑᲔᲜᲔᲗᲝᲛ". ᲚᲐᲜᲫᲔᲓᲛᲘᲪᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲑᲔᲗᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲜᲒᲘ ᲛᲝᲣᲒᲛᲐ ᲡᲣᲗᲐᲘᲚᲘᲜᲒᲔᲠᲘ „ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ" - 41:8. ᲛᲐᲚᲐᲮᲣᲚᲘᲡᲠᲐᲫᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ 57-ᲔᲑ ᲬᲣᲗᲖᲔ ᲩᲐᲠᲗᲝᲛ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲒᲐᲠᲙᲚᲘᲡᲐᲮᲔᲒᲐ ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲐ (4 ᲪᲓᲔᲚᲘ).

ᲒᲘᲐ ᲚᲐᲑᲐᲫᲘᲡ „ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲚᲘᲡ" ᲨᲘᲜ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ „ᲒᲠᲔᲚᲡ" - 24:14. ᲚᲐᲑᲐᲫᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲝᲧᲝᲜᲐ. „ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲚᲘᲡ" 14 ᲪᲓᲔᲚᲡ ᲓᲐᲣᲜᲐᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲤᲘᲜᲐᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲒᲔᲠᲔᲑᲐ. ᲨᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲪᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ „ᲒᲠᲔᲚᲘ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲐᲡ ᲞᲘᲜᲓᲔᲚᲛᲔᲪᲘᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲙᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲠᲘᲡᲐᲓᲐᲜ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ „ᲑᲣᲠᲜᲘᲡ". ᲚᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲐᲜᲘᲡᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ.

C ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ ᲛᲐᲠᲙᲔᲠᲘ: **ᲑᲔᲜᲘᲐ - 22 ᲪᲓᲔᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ - 14, ᲒᲠᲔᲪᲝ - 11, ᲚᲔᲕᲐᲠᲘ - 2**

D ᲯᲒᲣᲤᲨᲘ 11 ᲪᲓᲔᲚᲘ ᲐᲫᲚᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲣ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲐ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲐ ᲛᲤᲔᲓᲚᲝᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** „ᲔᲐᲚᲔᲡᲚᲘᲡ". ᲩᲔᲒᲔᲑᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲔᲛᲛᲔᲢᲘ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ „ᲑᲝᲜᲘᲜᲘᲡ" - 34:12 და ᲡᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲗᲔᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲔᲒᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲔᲒᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲬᲣᲠᲐ. ᲛᲤᲔᲓᲚᲝᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ.

22 ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲜ ᲞᲘᲠᲔᲚᲔᲡ ᲐᲓᲒᲔᲠᲖᲔ ᲓᲐᲘᲪᲐ „ᲙᲐᲠᲙᲐᲡᲝᲜᲘ", ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲑᲣᲠᲛᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ „ᲔᲐᲚᲔᲡᲚᲘᲡ" ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲠᲔᲜᲪᲘᲔᲠᲘ „ᲚᲝᲜᲯᲝᲜᲘ" - 16:9. ᲛᲔᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲙᲐᲡᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲐᲚᲔᲡᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲮᲘᲜᲓᲔᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ. ᲛᲤᲔᲓᲚᲔᲚᲘᲡᲔᲜᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲣᲪᲔᲚᲝᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲠᲔᲜᲝᲓᲐ.

D ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ ᲛᲐᲠᲙᲔᲠᲘ: **ᲙᲐᲠᲯᲐᲜᲘᲜᲘ - 22 ᲪᲓᲔᲚᲘ, ᲔᲐᲚᲐᲨᲘᲜ - 11, ᲚᲐᲜᲓᲐᲜᲘᲜ - 10, ᲑᲝᲜᲘᲜᲘ - 6**

„ᲛᲝᲜᲔᲚᲣᲡᲝᲜᲗᲐᲜ" ᲨᲘᲜ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲡ 13:15 ᲛᲝᲣᲖᲝᲓᲐᲕᲐᲓ, E ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ **ᲗᲔᲓᲝ ᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲫᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲓ ᲓᲐᲓᲔᲗᲨᲐᲕᲘᲚᲘᲡ** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგოა". პერიგოელებმა 19 ქულა დააგროვეს და მტკიცეთათვის მიუნდობელნი არიან. ზიბზიბაძეს სრულად ითამაშა. დადუნაშვილი, რომელიც 72-ე წუთზე შეცვალეს, არბიტრმა 55-ე წუთზე გაასინბინა. მარგველაშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო. ნინიძე განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში „ვანმა" შინ დაამარცხა „მარმანდი" - 18:9 და პლეი ოფში გასელის შანსს ინარჩუნებს.

E ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ ᲛᲐᲠᲙᲔᲠᲘ: **ᲔᲒᲠᲔᲒᲝ - 19 ᲥᲣᲚᲐ, ᲒᲐᲜᲐ - 13, ᲛᲝᲜᲔᲚᲣᲡᲝᲜᲔᲑᲘ - 9, ᲛᲐᲠᲛᲐᲜᲓᲘ - 6**

F ᲯᲒᲣᲤᲨᲘ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲐᲮᲩᲮᲐᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲑᲔᲡᲝ ᲧᲔᲤᲘᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ** და **ᲗᲝᲛᲐ ᲡᲐᲣᲯᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ** „ᲡᲘᲜᲔᲚ ᲔᲢᲐᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲡᲢᲣᲓᲘᲜᲒᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲗᲣᲨᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲝᲜᲡᲔᲜᲡᲣᲡᲘᲗ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲥᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲚᲘ „ᲡᲘᲜᲔᲚ ᲔᲢᲐᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ" - 44:8. ᲙᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ 51-ᲔᲑ ᲬᲣᲗᲖᲔ ᲨᲔᲪᲕᲚᲔᲡ.

ᲯᲒᲣᲤᲣᲨᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡᲐ „ᲛᲐᲚᲔᲜᲚᲘᲡ" ᲮᲣᲗᲘᲓᲒᲔ ᲮᲣᲗᲘᲡᲒᲖᲔ ᲛᲐᲒᲗᲔ ᲛᲝᲘᲒᲝᲛ. ᲗᲐᲚᲔᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲛᲘᲐᲓ ᲡᲛᲔᲚᲘᲗ „ᲙᲐᲡᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ" - 40:25 და ᲑᲝᲚᲝᲛ ᲢᲣᲠᲘᲡ „ᲜᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲣᲛᲐᲡᲘᲜᲔᲓᲚᲔᲑᲔᲜ. ᲐᲛ ᲛᲐᲒᲗᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲑ ᲛᲝᲛᲔᲜᲔᲚᲖᲔ ᲐᲕᲫᲔᲚ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲛᲐᲪᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚ 1 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲔᲑᲐ ᲛᲝᲧᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ „ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ" ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲔᲚᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲓᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲣᲜᲫᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲫᲔ ᲛᲝᲠᲔᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲜᲒᲘ. ᲛᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲨᲔᲣᲞᲚᲝ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲣᲗᲛᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲣᲗᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲣᲗᲛᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲣᲗᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲛᲐᲡᲢᲜᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲔᲝᲗᲮ

ძიუდო ევროპის ჩემპიონატი

რომორც იქნა, გაფრინდნენ



ქართველ ძიუდოისტთა ნინასაევროპო სავა „ჰეფი ენდით" დასრულდა - სამშაბათს, გამთენიისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნანილობრივ განსახლდა ავიარეისები ევროპის მიმართულებით, მათ შორის კი ერთ-ერთი უპირველესი ვენის რეისი იყო. სწორედ მას გაჰყვნენ ჩვენებიც და ევროპის ნლეულნდელი ჩემპიონობის მასპინძელ ქალაქს უპრობლემოდ მიაღნიეს. შეგახსენებთ, რომ შეფერხების მიზეზი ვულკანური ფერფლი იყო, რომელიც ისლანდიიდან ნამოვიდა და ადგრ უკვე ერთი კვირაა, ჯანდაც ანეულ ევროპის ცას.

ევროპის პირველობა ავსტრიის დედაქალაქში 22-25 აპრილს გაიმართება. პრორამა და ჩვენი ნაკრების შემადგენლობა „ლელოს" გუშინდელ ნომერში გაგაცანით.

ტურნირში ჩვენი ქალთა ნაკრები არ გამოვა - ფედერაციის გადაწყვეტილებით, აქცენტი ახალგაზრდებზე გადატანეს, ხოლო ქალთა ეროვნული ნაკრები ჯერჯერობით მეორე პლანზე დადგის, რაკილა არა არის პირველხარისხოვან ტურნირებში წარმატებით გამოსვლის პერსპექტივა. ამდენად, ვენაში საკმაოდ მხოლოდ ვაჟები გვრჩებიან, რომელთაგანაც **დავით ასუმბანი** (60კგ) და **შალვა ქარდავა** (66) ხვალ იჭიდაობენებენ, ზეგ – **ზაზა კედელაშვილი** (73) და **ლევან წიკლაური** (81), დანარჩენები კი შაბათს.

წინასწარ მონაცემებით ფრანგებს არ ეყოლებათ მძიმეწონასანი **ტედი რინერი, ბენჯამინ დარბელე** (66) და სხვა ტატულოვანი ფალავნები, მნიშვნელოვნადაა გადახალისებული მათი ქალთა ნაკრებიც. ტურნირს ელვავაც დაამშვენებენ ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მასპინძელი **ლუდვიგ პაიმერი** (60), უკრანელთა ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (60), რუმინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ალინა დუმიტრუ** (48) და სხვები, დაალდებიან ესტონელი ევროპის მოქმედი ჩემპიონი **მარტინ პადარი** (+100), აზერბაიჯანელები ოლიმპიური ჩემპიონი **ელნურ მამედლი** (73) და მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორი **მოლლუდ მირალიევი** (100), ევრონელი ოლიმპიური ჩემპიონი **ოლივერ ბიშოფი** (81), ბერძენთა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ორგზის ვერცხლის პრიზიორი **ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური,** 90), ჰოლანდიელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რუბენ პოუკვსი** (60), რომელიც კარგა ხანია, არც ჩანს ტურნირებზე, ბრიტანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **პეტრ გუსინსი** (100), ფრანგი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანტონი როდრიგესი** (81), შვეიცარიელი ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს მეორე პრიზიორი **სერგეი აშვანდენი** (90)... აქ არაფერს ვამბობთ თუნდაც ჩვენს გადახალისებულ გუნდზე, რომელსაც მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირქოძე** (100) აკლია, და არც რუსებზე, რომლებმაც ამჯერად მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს - პირად პირველობაში ხათადარიგოები გამოელენ, ღიდერები კი მხოლოდ გუნდურში იქმდვებენ. სავარაუდოდ, წამყვანი ძოჯოილტები სალიცენზიო ტურნირებისთვის იკრებენ ძალებს და ახლა ამიტომ ისვენებენ. სხვათა შორის, ნლეულნდელი საერთაშორისო ტურნირებიც ბევრმა მათგანმა გამოტოვა ან აქა-იქ თუ გამოვიდნენ... სალიცენზიო ტურნირები უკვე მაისიდან იწყება - ამ სტატუსის პირველი შეჯიბრება 15-16 მაისს გასაპრონ ქალოს მსოფლიოს თასია, თუმცა ჩვენები ლიცენზიებისთვის პრძოლაში, ალბათ, 22-23 მაისიდან ჩაებმებიან - რიო დე ჟანეროს „დიდი მუზარადიდან".

ირაკლი თაბაგარი

ჭიდაობა სპორტი

ქადაგიძის პროგრესი გრძელდება

ლევან ქადაგიძემ 51-ე შედეგით დაასრულა გამოსვლა შვეიცარიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის მეორე ეტაპზე. ვაჟებმა გუშინ პნევმატური პისტოლეტით სროლაში იასპარეზეს, სადაც ჩვენებურმა 567 ქულა დააგროვა, რომგორც პონკენკელმა **ლაი ჩენ კონგმა,** მაგრამ აზიელმა დამატებით ცდაში ორი ქულით აჯობა.

ქადაგიძე ახალი თაობის სპორტსმენია, რომელიც სპორტში მას შემდეგ მოვიდა, რაც **ნინო სალუქვაძემ** საუღთარი ტირი გახსნა და პირადად ოლიმპიური ჩემპიონი აეარჯიშებს. ის ჯერ ვერ აჩენებს მონინავე სტანდარტების შესაბამის შედეგებს. შედარებისთვის - შესარჩევი ეტაპი რუსმა **ვლადიმირ ისაკოვმა** 587 ქულით მოიგო, თუმცა საბოლოოდ მაინც ბრინჯაოს დასჯერდა, ფინალურ ოქტეტში ბოლო შედეგი კი ისევ რუსის - **დენის კულაკოვის** 582 ქულა იყო. ცხადია, ქადაგიძის იქამდე ჯერ კიდევ ბევრი ამორებს, მაგრამ ამ სპორტსმენმა ისეთი ბამოცდილი ხალხის ყურადღება, როგორიც ნინო და **ვახტანგ სალუქვაძეები** არიან, სტაბილურობით და პროგრესირებადი შედეგებით მიიქცია. გარდა იმისა, რომ ერთი და იმავე მაწვნებლების ახლის მუდმივად ტრიალს ახერხებს, თანდათან შედეგებსაც ზრდის. იქნებ ნელა და არა ისე ჩქარა, როგორც ქომაგებს სურთ, მაგრამ მაინც აუმჯობესებს. თან სნაელობს, დამჯერია და რჩევებს კარგად იღებულებს. ქადაგიძის ახლანდელი შედეგიც უკეთესია ნინა საერთაშორისო მაწვნებელზე. შეგახსენებთ, რომ მან სალუქვაძესთან ერთად მარცხი ნორვეგიელ მერაკერში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, სპორტსმენთა მაძინებელ ფატერკებზე კი „ლელო" დანერილებით წერდა - მერაკერში სასტუმროების დეფიციტის გამო ჩუნები შეკრებილ ცხოვრობდნენ, იქიდან სასროლეთზე მათი გადაყვანა კი ერთ დღეს მასპინძლებს, უბრალოდ, დავიწყებათ. შედეგად, ერთ საათიან ლოდინს შემდეგ მერაკერში საკუთარი ხარჯით ტაქსებით ჩასულმა სპორტსმენებმა ძლივს მოუხერხეს შეჯიბრებას. მართალია, ამან უფრო ნინო სალუქვაძე აზარალა - იმ დღეს ის ისროდა, ქადაგიძე კი მეორე დღეს გადიოდა სტარტზე, მაგრამ გუნდში შექმნილმა ნერვულმა ვითარებამ თავისი კვალი მასაც დაატყო. მაშინ მან 561 ქულა დააგროვა, რასაც ახლანდელი მაჩვენებელი საკრძნობლად აღემატება, თუმცა ჩამორჩება ქადაგიძის პირად რეკორდს, რომელიც ნორვეგიაში ნასვლამდე საქართველოს ჩემპიონატში დაამყარა - 573 ქულა. ამ შედეგით ის მერაკერშიც და პეკინშიც მე-40 ადგილის ახლოს დამკვიდრებოდა.

ახლანდელი ტურნირზე ქადაგიძემ თავიდან ცუდად ისროლა - პირველ ორ სერიაში 92-92 ქულა გააკეთა (ათ-ათი ცდიდან), მერე კი ნერვები მოთოკა და ოთხივე სერია სტაბილურად კარგად ჩაატარა - სამჯერ 96 ქულა და ერთხელაც 95. აღსანიშნავია, რომ მესამე სერიაში ბოლო შეიდი გასროლა ათიანში გაარჩყა. თუმცა ამავე სერიაში ჭირდა ერთადერთი შეიდიანიც მთელ ტურნირზე. ისე კი, ამ ერთ ჩაეარნას თუ არ ჩავთვლით, ბოლო ოთხ სერიაში ცხრიანზე ნაკლები არ გაუცეთებია.

ხვალ პეკინში ნინო სალუქვაძეც ისვრის, ამჯერად ისიც ზნევმატური პისტოლეტით და ჩვენებურებიც დაამთავრებენ გამოსვლას ტურნირზე. შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე სპორტული პისტოლეტით სროლაში მეოე იყო.

ირაკლი თაბაგარი

ჭიდაობის თარო

ჭიდაობის ოსტატები

გიორგი ბეინაშვილი ჭიდაობის ოსტატებს

გასული საუკუნის 60-70 წლების კასპელი ფალავანი, მსაჯი და სპორტველოს დამსახურებული მწვრთნელი **გიორგი ბეინაშვილი** დიდი ხანია ჭიდაობას ეშსახურება. ბოლო ხანს მან მოჭიდავეებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსებითაც მოიქცია ყურადღება.

„პირველად ტრაგიკულად დაღუპული ტატულოვანი სამბოსტის **ვანო გამბიტაშვილის** გარდაცვალებასას მომზდარმა ფატმა გადამატნინა ნააზრევი ფურცელზე. 1999 წელს რუსმა **სერგეი ლაპავოკმა,** რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვანოსთვის ფინალური დაპირისპირება მსაჯების მიკერძოებით ჰქონდა მოგებული, ოქროს მედალი კასპში ჩამოიტანა და გარდაცვლილ ქართველ ფალავანს გულზე დაადო. ეს ყველასთვის მეტად შთამბეჭდავი ფატი იყო. შემდეგ უკვე სურვილი გამიჩნდა დამეწერა **ბიძინა მაზიაშვილზე, შოთა ჩოჩიშვილზე, ლევან თედიაშვილზე, გურამ საღარეიშვილზე** და ა. შ." — გვითხრა ბატონმა გიორგიმ. მოგვიანებით ლექსების წიგნად გამოცემა **გურამ პაპიაშვილს** შეუთავაზებია და დასტამბა კიდეც მეგობრების თანადგომით. რედაქტორება **ვაჟა ოთარაშვილია** და **გაბრიელ პარჯაძე.**

ვასილ ბაღახაძე

ჩოგბურთი

ამერიკული პორმოინები

საჩოგბურთო კონტრაბანდისტმა ჩოგბურთისა და ძალოსნობის ანტისადოპინგო წესებში გაათანაბრა

საჩოგბურთო სამყაროში არ ცხრება ენებათაღელვა ამერიკელი ჩოგბურთელის **უეინ ოდესნიკის** პიროვნების გამო. 24 წლის სპორტსმენი ავსტრალიის ტერიტორიაზე ადამიანის ზრდის ჰორმონების შეტანაში გამოიჭირეს. ცნობილია, რომ ეს ნივთიერება აკრძალული პრეპარატთა სიაში შედის. მოუხდებად ამისა, მსოფლიოს 111-ე ჩოგანი აქამდე უცრობლემოდ აგრძელებდა ATP-ის ტურში მოღვაწეობას. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად, ჩოგბურთელს ანტისადოპინგო კომისიის საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე მშვიდად შეუძლია თამაშის გაგრძელება, ოდესნიკის ისტორია კი საკმაოდ ჩახლართულია და საქმის გარჩევა, შესაძლოა, რამდენიმე წლით გაჭიანდის. ამ ისტორიის უცნაურობამ აიძულა საჩოგბურთო ფედერაცია სასწრაფოდ შეიმუშაოს სპორტის ამ სახეობაში ახალი ანტისადოპინგო კანონმდებლობა.

■ ■ ■

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია სპორტის სხვა სახეობების გამოცდილებას გაითვალისწინებს, სადაც დოპინგის მიღებაში ეჭვმიტანილები გამოჯობის დამთავრებამდე დროებით წყვეტენ კარიერას. დღემდე ჩოგბურთი გამორჩეული იყო თავისი არაკეთილსინდისიერი სპორტსმენების მიმართ ლოიალობით, მაგრამ, როგორც ჩანს, ოდესნიკთან დაკავშირებული ისტორია ბოლოს მოულებს ამ გაუგებრობას. ყოველ შემთხვევაში ბევრი ნამყვანი ჩოგბურთელი დაფიქრდით ითხოვს ამერიკელისთვის თამაშის საწინააღმდეგო აკრძალვას. როგორც პოლონელმა **ჯეი ინაროვიჩმა** გაიგო, რომ პიუსტონის ტურნირზე ოდესნიკთან მოუწევდა თამაში, ასეთი რამ განაცხადა: „ჟიურორმა, არასწორია კორპზე გასცეს ნება მოიცეთ ოდესნიკს. ჩემი აზრით, გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე - ის დისკვალიფიცირებული უნდა იყოს. რთულია ასეთი მეტოქის წინააღმდეგ თამაში, იქნებ მეც გამოვფენი ის ნივთიერება, რასაც ის ხმარობს?"

პოლონელ ჩოგბურთელს მხარი დაუჭირეს ოდესნიკის თანამემამულეებმა - ამჟამად ნაკრების მოთამაშეებმა **მარდი ფიშმა** და **ენდი როდიკმა**. მაგალითად, ფიშმა ასეთი კომენტარი გაუკეთა ტურნირებზე ოდესნიკის გამოსვლის პერსპექტივას: „*მე იმ მოთამაშეების რიცხვს განვეკუთვნები, რომლებიც დიდი ხანი გამოვიდა ტურში. უკვე 11 წელია დიდ ჩოგბურთში ვარ და მინახავს ისეთი ბიჭები, რომლებიც ყველას მოტყუებას ცდილობენ. ოდესნიკი მათგანს არაფრით განსხვავდება. ჩემთვის უხერხული იქნება მის წინააღმდეგ კორტზე გასვლა. მე რომ ოდესნიკის ადგილზე ვყოფილიყო, უარს ვიტყოდი ტურნირებში თამაშზე*".

■ ■ ■

მიუხედავად ამისა, უეინ ოდესნიკი არ აპირებს ტურნირებზე უარის თქმას.

მან უკვე რვა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა მას შემდეგ, რაც 2010 წლის იანვარში ავსტრალიის საბაჟოზე ზრდის ჰორმონის რვა ამპულა აღმოუჩინეს. ყველაზე დიდ ნარმატებას ამერიკელმა პიუსტონის სათიხნარო ტურნირზე მიაღწია, სადაც ნახევარფინალში გავიდა და იქ სამ სეტში ნააგო მეორე ამერიკელთან - **სემ კუერისთან**. თავად ოდესნიკმა მხოლოდ აკრძალული პრეპარატების გადატანა აღიარა და იქვე დაამატა, რომ ეს ნივთიერება არასოდეს გამოუყენებია. ჩოგბურთელის სიტყვებით მას არასოდეს გამოუყენებია სტიმულატორი. ამასთან, ამერიკელმა არ გამორატა რისთვის შეიტანა ავსტრალიაში HGH-ის ამპულები.

ჯერჯერობით ჩოგბურთელი აკრძალული პრეპარატის სხვა ქვეყანაში შეტანისთვის 7.300 დოლარით დაჯარიმდა, მაგრამ ამ ნივთიერების შენახვისთვის ორნლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

■ ■ ■

ჩოგბურთში სადოპინგო სკანდალი იშვიათად ხდება. მოუხდებად იმისა, რომ ეს ფიზიკურად მძიმე სახეობაა, მიჩნეულია, რომ მასში ინტელექტის ხარჯზე იმარჯვებენ და ჩოგბურთელებში დოპინგი პოპულარობით არ სარგებლობს. ამასთან, ჩოგბურთი უფრო ელიტურ სახეობას განეკუთვნება, ვიდრე მასობრივს და ნებისმიერი სკანდალი ცუდად მოქმედებს თავად სპორტის სახეობისა და უშუალოდ ჩოგბურთელების რეპუტაციაზე. ამიტომაც არიან მთავარშებში ასე აღშფოთებულნი მსოფლიოს 111-ე ჩოგნის საქციელით.

„ჩოგბურთის არ სცხრდება ასეთი ისტორები და დარწმუნებული ვარ, ერთეულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ვამაყობ იმით, რასაც ყოველდღე ვაკეთებ და ძალიან მძარხებს ის, რომ ერთი ბრიყვი ჩოგბურთელის გამო ყველაფერი შეიძლება მოიშალოს", - განაცხადა მსოფლიოს მეშვიდე ნომერმა ენდი როდიკმა.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონშიპი

სანდერლენდი-რედინგი 2:2
ქარიში-ლივერპული 1:0

I ლიგა

ბრენტფორდი-ტრანმერი 2:1
საუთჰემპტონი-ოლდჰემი 0:0

II ლიგა

ჩელტენჰემ-დერლინგტონი 3:3
ნორტჰემპტონ-რეადინგი 1:0

კონფერენსი

უიმბლდონი-ბარნეტი 0:1
ბეინტშეიდ-სტევენიჯი 0:1
კემბრიჯი-ქროული 1:1
კიდერმინსტერი-ბაროუ 1:2
ოლსტრფორდ-რიჩმონდი 1:0
სალისბერი-ალდერშოტი 4:1

გერმანია

III ბუნდესლიგა

ვეირდერი A-ჰანზა ბრემენი 4:1
ბაიერნი A-ასარ ცისინი 0:0

შოტლანდია

I დივიზიონი

ქეითნი-რენსი 1:0

II დივიზიონი

ბრეჰტინი-კირკუდბრაითი 3:3
კლაიდე-სტირლინგი 1:2

III დივიზიონი

ქეითნ ბარკი-ალბიონი 1:0
ფორფარი-სტრანრარი 2:0

შვეიცარია

იუნგბორდინი-ბაზილეა ბერნი 2:1
ჟენევნინგენ-ბერნი 2:1

II დივიზიონი

ირინგტინგი-ანდერლაიხენი 1:3
ჰაბერზეე-ცუნდსვეინი 2:1

ავსტრიის თასი

1/2 ფინალი

აუსტრია (ა)-ვინერი 0:4

ირლანდია

ბრაი-სტ. პატსი 0:4

უელსი

ქერსოუსი-ნიუპორტი 1:1
კარმართენი-ჰაუთორნრდვსტი 2:2
ქონვეი-ბანგორი 0:1
ლანელი-ნიით 2:1
უელშპული-ეზერისტეტი 1:3

ესლოვაკეთის თასი

1/2 ფინალი. II მატჩები

ტრნავა-დ. სტრედა 2:0 (1:0)
სლოვანი-ბისტრიცა 1:0 (1:0)

პოლონეთი

უმაღლესი

ლეჩია-პოლონია (ბ) 0:0
რუხი-ოდრა 3:2
ვისლა-შლეზინსკი 1:0
კორონა-ზაგლებოვი 1:1

უმაღლესი

ნიარედზასა-დებარეცინი 0:3

ბულგარეთი

ლოკომოტივი (ს)-ლევსკი 1:1

პოკერი

ქალ.

აა ბარსი-ვვდ 1:2

გერმანია

პანორეი-აუბსბურგი 3:1

შვეიცარია

ბერნი-ლარვეტი 2:2 დ. დ. 0:1

ჩოგბურთი

ATP. ბარსელონა

კუევასი-ნავარო 2:6, 4:6
მონაკო-ხიმენო ტრავერო 2:6, 6:3, 2:6
რობერი-ისტომინი 6:7, 6:1, 1:6
პიუეი-იღასი 6:4, 4:6, 6:2
რასელი-რამოს ვინოლასი 4:6, 3:6
შარდი-მონტანიესი 6:3, 7:6
მელცერი-ლოპესი 6:3, 6:3
ზეფერევი-სტახოვსკი 6:4, 4:6, 2:6
რობრედო-ბოლელი 7:6, 4:6, 1:6
ალმაგრო-გრიოლი 6:1, 6:3
გულბისი-ლუჩაკი 7:6, 6:3
ფ. ლოპესი-დოლგოპოლოვი 6:3, 6:0
სოფერლინგი-ჩელა 7:5, 7:5
პანეს-ჯუ-ბეკი 6:1, 6:2

TV პროგრამა

21 ივნისი. ოთხშაბათი

რუსეთი 2

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ლეონი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 პოკერი.
07:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმხილველი.
08:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმხილველი.
09:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
11:45 პოკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ჰოლანდია-უკრაინა. ტელბურგი. ჰოლანდია.
13:30 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
14:00 ჯალაბურთი. ეუროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-პარტიზანი.
15:45 სინქრონული ცურვა. მონრეალი. კანადა.
17:40 საავიზრო ბარათი.
17:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
19:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:00 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრიტე.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფურნალი.
21:30 ჯალაბურთი. FIBA-ის მიმხილველა.
21:55 ძრავების სამყარო. ტელეეურნალი.
22:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ლეონი (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
02:35 ჯალაბურთი. ეუროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-პარტიზანი.
04:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
06:00 სინქრონული ცურვა. მონრეალი. კანადა.

SPORT 2 (უკრაინა)

07:20 სქვაში.
08:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. სპპასუხო მატჩი. ლივერპული-ბენფიკა.
10:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
12:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმხილველა.
13:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-მილანი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-არსენალი.
16:45 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. პოლანდია-უკრაინა. ტალტურგი. პოლანდია.
18:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფურნალი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
20:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
22:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ასტონ ვილა (LIVE).
00:45 100% დინამო.
01:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ლეონი.
02:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
04:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-არსენალი.
06:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-მილანი.

EUROSPORT

10:30 ქსმატრემალური სპორტი.
11:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ფლეშ ვალონი. ბელგია (LIVE).
18:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ეუროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ჭიუდოსპორტი.
20:50 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ფენეცია. შვეიცარია.
21:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:00 გოლფ-კლუბი.
22:05 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
22:10 ჭიუდოსპორტი.
22:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ოლიმპიური თამაშები. ტენეფურნალი.
01:30 ველოსპორტი. ფლეშ ვალონი. ბელგია.
02:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.

პოკერი

NHL. ველი ოფი. 1/8 ფინალი

ბოსტონი-ბაფალო 2:1

1:1, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 გრირი-1 (ტორესი-2, ბალლდერი-2), 1:1 ვიდმანი-1 (სობოტკა-2, პანეკი-2), 2:1 პ. ბერგერონი-1 (რეი-1, ვიდმანი-1)

სპრინტ: 2:1

მონრეალი-ვაშინგტონი 1:5

0:0, 0:4, 1:1

გოლები: 0:1 გორდონი-1 (პოტი-2), 0:2 ლეონი-1 (მ. გრინი-1, ფერი-1), 0:3 ფეხრი-2 (ლეონი-1, პ. მორისონი-1), 0:4 ოვეჩკინი-2 (ბეტტერიოში-2, ნიკლი-2), 1:4 პლეკანეცი-3 (ჯაბლერი-4, პაპრლო-1), 1:5 ბრედლი-1.

0:0, 0:4, 1:1

ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 5:3

1:1 3:1, 1:1

გოლები: 0:1 რეიმონდი-1 (ქესლერი-3, საბუელონი-1), 1:1 დიუტი-1 (ჰანეზი-2, დ. ბრაუნი-3), 2:1 ჰანეზიი-1 (ჯ. ჯონსონი-3, დიუტი-2), 3:1 ჰანეზიი-2 (დიუტი-3, ჯ. ჯონსონი-4), 4:1 რიჩარდსონი-1, 4:2 საბუელონი-4 (ქესლერი-4), 4:3 დ. სედინი-2 (ბიკეი-1, ჰ. სედინი-3), 5:3 რ. სმიტი-1 (ჯ. ჯონსონი-5, დიუტი-4).

სპრინტ: 2:1

სპორტსმენი

პოკერი

პოკერი ალარ აინტერესებთ

წლეს, პოკერის ეროვნულ ლიგაში გასული სეზონთან შედარებით 2.25 პროცენტით იკლო მაყურებელმა.

როგორც SportsBusiness Daily იუწყება, ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა ვანკუვერის ოლიმპიადაზე კანადიანი და ამერიკის ნაკრებთა ხარბატება. ზამთრის თამაშების შემდეგ დასწრების მაჩვენებელმა მკვეთრად იმატა. მაგალითად, „ფინიქსის" სამნაო მატჩებზე 12 პროცენტით მეტი მაყურებელი დადიოდა. ანუდიტორია მოიმატა „ნიუკასლ" (7 პროცენტით) და „ატლანტა ბეის", „ჯაროლინასა" და „ლოს ანჯელესს" (5-5 პროცენტი). და მაინც, საერთო შეფასებით, NHL-ის მაგრებისადმი ინტერესმა იკლო.

რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი მაყურებელი „ჩიკაგოს" ჰყავდა - საშუალოდ 21356. ამ მხრივ ბოლო ადგილზე „ნიუ იორკ აილენდერსი" გავიდა - 12735.

სამი პრეტენდენტი

NHL-ის ხელმძღვანელობამ რეგულარული სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზის მაძიებლები დაასახელა. ნელს „ეგზინა ტროფის" კანდიდატები არიან: „ნიუ ჯერსი დევილზის" ვეტერანი **მარტინ ბროდო**, „ფინიქს კოიოტზის" რუსი ლეგიონერი **ილია ბრუზგალოვი** და „ბაფალო სეიბრზის" ამერიკელი გოლკიპერი **რიანან მილერი**.

„ეგზინა ტროფის" ოთხჯერ მფლობელი ბროდო მეცხრედ გახდა ამ პრიზის ნომინანტი. ამ სეზონში მან 45 მატჩი მოიგო და 9 შაიუტი შეასრულა, ბრაზგალოვის ანალოგიური მაჩვენებლები 42 მოგებასა და 8 შაიუტს უდრის, რაც მეტიხეზ მილერს, მან 41 შეხვედრაში გაიმარჯვა და საშუალედ მაგრნი 2.22 ბომბა (მეორე მაჩვენებელი ლიგაში) გაუშვა.

სეზონის საუკეთესო მეკარეს NHL-ის 30 კლუბის გენერალური მენეჯერები გამოავლენენ.

ჩოგბურთი

კლაისტერსი პორშესთვის არ იბრძოლებს

ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** განაცხადი გამოოტანა შტუტგარტის ტურნირიდან, რომელიც 26 აპრილს აიღებს სტარტს.

„სამწუხაროა, მაგრამ კიმი ოჯახური გარემოებების გამო ვერ მოიღებს მონაწილეობას ტურნირში", - ამბობს შტუტგარტში გასამართი შეჯიბრების დირექტორი **მარკ გიუნჰარდტი**.

აღსანიშნავია, რომ კლაისტერსს 2002 და 2003 წლებში აქვს მოგებული Porsche Tennis Grand Prix. 26 წლის ბელგიელი შემდეგ ტურნირს 8-16 მაისს მადრიდში ითამაშებს.

ნალბანდიანი ისევ გრავმირებულია

კვლავ არ უმართლებს არგენტინელ ჩოგბურთელ **დავიდ ნალბანდიანს**. ტრავმებით განსაბეჭდილ სამხრეთამერიკელს ორი კვირის გამოტოვება მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ დავიდს ვერ ვიხილავთ ბარსელონის ტურნირსა და რომის მასტერზზე. როგორც ჩოგბურთელის პრესაცახშე განაცხადა, ნალბანდიანს ამჯერად ფეხის ტრავმა აწუხებს და მკურნალობას მინიმუმ 15 დღე დასჭირდება. სავარაუდოდ, არგენტინელი ტურს მაგრიდის მასტერზზე დაუბრუნდება, რომელიც 9 მაისს დაინყება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ყოფილმა მესამე ჩოგანმა დაახლოებით ერთი კვირის წინ ბარძაყზე ოპერაცია გადაიტანა. თებერვალში დიდ სპორტში დაბრუნდა, მაგრამ შემდეგ მარკვეულა ფეხის ტრავმამ შეანუხა.

გვერდს მოამზადა
გია თევზაძეინთვისება

კალათბურთი

მეფე რომ არ ყოფილიყო...

მეორე მატჩი „კლივლენდსა" და „ჩიკაგოს" შორის კვლავ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის სასარგებლოდ დასრულდა. თუმცა ამჯერად **ლებრონ ჯეიმსსა** და მის პარტნიორებს სერიოზული ბრძოლის გადატანა მოუხდათ შესანიშნავად მოთამაშე „ხარების" წინააღმდეგ. სამი მეოთხედის განმავლობაში თამაში თანაბარი იყო, მაგრამ ბოლო 12-წუთიანში ჩიკაგოელებმა ვეღარ გაუძლეს კლივლენდელი ვარსკვლავებისა და 20-ათასიანი პუბლიკის ზენოლას. მაყურებელმა ყველაზე „თბილად" „ჩიკაგოს" ცენტრი **ჯოაკიმ ნოა** მიიღო. პირველი შეხვედრის შემდეგ ფრანგმა კალათბურთელმა, რომელიც პირწმინდად დაჩაგრა ლეგენდარულმა **შაკილ ო'ნილმა**, ასეთი ფრაზა ისროლა: *„თქვენ კლივლენდი მოგწონთ? რა არის ამ ქალაქში განსაკუთრებული? ოდესმე გაგიგიათ აქ ვინმეს წამოსულიყოს დასასვენებლად?" „აეროპორტის" გუდუმმატივრებზე პასუხი არ დაიგიანეს - მეორე შეხვედრის წინ ცრობუნებზე გაჩნდა ბანერი წარწერით: „რა არის ყლივლენდში განსაკუთრებული? გარშემო მიმოიხედე, ნოა!"*

რაც შეეხება აღნიშნულ შეხვედრას, პირველი მატჩისგან განსხვავებით „ჩიკაგო" გაცილებით დამაჯერებლად და ლაღად თამაშობდა და მეტოქეს სოლიდური უპირატესობის მოპოვების საშუალებას არ აძლევდა. მეორე მეოთხედის დასაწყისში **მაიკ ბრაუნის** გუნდის მხრიდან გაქცევის ერთადერთი ცდილება სწორად აღკვეთეს იმავე ნოამ, **დერიკ როუზმა** და **ლუო დენგმა**, რომლებმაც მინიმუმამდე დაიყვანეს ორნიშნა ჩანდიკაპი. დიდი შესვენების შემდეგ კი „ხარებმა" თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ცოტა ხნით საკუთარი თამაში მოახვიეს თავს „ყაყალერებს".

არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მოედანზე ეს უცნაური სიტუაცია, ბოლოს აგანსცენაზე ლებრონ ჯეიმსი რომ არ გამოსულიყო. 164 წამის განმავლობაში „მეფემ" ზედიზედ 11 ქულა დააგროვა - სამქულიანი, ორი საჯარიმო, გარღვევის შემდეგ ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთი და საშუალო მანძილიდან ორი ზუსტი ტყორცნა. ლებრონმა ერთი ხელის მოსმით მოუსპო შეხვედრას ინტრიგა. არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება ჯეიმსის სტატისტიკური მონაცემი: 40 ქულა (თამაშობდა 23 წუთნახევარ - 16 ზუსტი, 4-დან 2 სამქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო), 8 მოხსნა, 8 შედეგიანი პასი, 2 დაფარება და ეროი ჩაჭრა 41 ნუთის განმავლობაში.

დენვერში ასევე მეორე შეხვედრა ჩაატარეს ადგილობრივმა „ნაგეტსმა" და „იუტა ჯაზმა". ამ უკანასკნელს პლეი ოფის პოლომდე დაემტვრა ძირითადი ცენტრი **მეჰმეთ ოქურო** და **ჯერი სლოუნმა** მის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში უკრანიელი **კირილ ფესენკო** დააყენა. ამ დანაკლისმა კიდევ უფრო დაამძიმა „იუტას" მდგომარეობა, რომელსაც სერიის პირველი მატჩი ნაგებული ჰქონდა. თუმცა „ჯაზმენების" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ შეიმჩნიეს თურქი ცენტრის არყოფნა.

პირველ ტაიმში გუნდები ფარქვეშ შესცილება და გარანტირებული ორქულიანების აღება ცდილობდნენ, რასაც ჯარიმა (26) და შეცდომა (17) მოჰყვა. შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნებით მხოლოდ **დერონ უილიამსი** (4-დან 3 ზუსტი სამქულიანი) ინონებდა თავს. მეორე მეოთხედის მოსვლის გუნდური თამაშის წყალობით „იუტამ" 19:5 გაქცევა მოახერხა და შესვენებაზე კომფორტული უპირატესობით გავიდა - 63:51.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ნაგეტსმა" ჩამორჩენის გაბათილებაზეც იზრუნა და ეს კარგად გამოუვიდა - 5 წუთის განმავლობაში უპასუხო 14 ქულამ დააწყნარა „დენვერის" გულმემატკივარი, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოს იუტელმა **კაილ კორვერმა** ისევ გაუნაღდა თავის გუნდს 6-ქულიანი უპირატესობა.

ყველაფერი მატჩის ბოლოს გადაწყდა. ერთი პირობა „დენვერმა" წინ გასულიყო მოახერხა, მაგრამ **მილეიმმა** და **მაილზმა** სამეულად ითამაშეს ბოლო წუთებში, ხოლო კორვერის სნაიპერული გასროლებს „დენვერმა" ვერაფერი მოუხერხა. და მაინც, მასპინძლების საფინალო სირნახვამდე 5 ნამით ადრე შეეძლოთ შეხვედრის ოფერზიმაში გადაყვანა, მაგრამ **რონსი ბილაპსმა** უხეიაოდ ესროლა სამქულიანი და სერია ანგარიში გათანაბრდა.

ნებისმიერ „დენვერის" ბოლო ტყორცნა **კარმელო ენტონის** უნდა შეესრულებინა, მაგრამ მან ექვსი პერსონალურით ნაადრევად დატოვა მოედანი. იმ მომენტისთვის მეღოს ანგარიშზე 32 ქულა იყო, რომელთაგანაც 14 მან საჯარიმოებით მოიპოვა.

ახლა სერია სოლტ-ლეიკ-სიტიში გაგრძელდება. თუ გავითვალისწინებთ სტუმრად „დენვერის" საშინელ თამაშს, საგარაუდოდ, ამ სერიაში ინტრიგა კარგა ხანს იცოცხლებს.

კლივლენდი–ჩიკაგო 112:102

28:22, 24:28, 25:27, 35:25

ჯ: ჯეიმსი (40+8 მოხსნა+8 პასი), ჯეიმისონი (14), მ. უილიამსი (12+6 პასი), მუნი (12).

ჩ: ნოა (25+13 მოხსნა+), როუზი (23+8 პასი), დენგი (20+6 მოხსნა+3 პასი), მორეი (14), გიბსონი (11+7 მოხსნა).

სერია: 2:0

დენვერი–იუტა 111:114

30:33, 21:30, 31:25, 26:29

დ: ენტონი (32+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნენე (18+7 მოხსნა), ბოლპასი (17+11 პასი), მარტინი (15+3 დაფარება), სმარი (9+6 მოხსნა).

ი: უილიამსი (33+14 პასი), ბეზლერი (20+15 მოხსნა), მილეიმი (18+5 მოხსნა), მაილზი (17+6 პასი), კორვერი (13).

სერია: 1:1

„ალკოლიზინი" × „პახმელიას"

„ალკოლიზინი" უნიკალური პრეპარატია, მას სამედიცინო სფეროში ანალოგი არ გააჩნია!

„ალკოლიზინის" დახმარებით თქვენ შეიძლება მეგობრებთან აიცილოთ „პახმელიის სინდრომი". დღისცვამ ღვიძილი ალკოლიზინი ბანდაგარებისგან.

„ალკოლიზინი" დაგხმარებათ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან. ალკოლიზინის გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია. ალკოლიზინის მიღებამდე წინ არ დაგჭირდებათ „ალკოლიზინი". ის თქვენ ახორციელებს უფრო სასიამოვნო გახდის. გაგონიერებას პრეფილაქტიკის მიზნითაც ვ კვირის განმავლობაში.

მოგვაწერეთ მისამართი მობილის ტელეფონის ნომერი 99 26 ან მოგვაწერეთ ელ-ფოსტა და ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას ალკოლიზინის შესახებ.
99 00 14, 99 19 68
893 668316 899 21 02 32
e-mail - promolia@mail.ru
nikoaniliz@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ფორმულა 1

ბუნტი ფერარიში?

კვირას გამართული ჩინეთის გრანპრის ერთ-ერთმა ეტაპზემ ავტომობილის სამყაროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ლაპარაკია იმ მანერაზე, რომლითაც „ფერარის" პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** პიტ-ლეინზე შესვლისას თანაგუნდელი **ფელიპე მასა** ჩამოიშორა და პირველმა გამოეცალა საბურავები, ბრაზილიელმა კი რიგში დგომისას ძვირფასი დრო დაკარგა.

ამასთან დაკავშირებით, „სკუდერიას" ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: „მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ბოროტად გამოიყენეს ჩინეთის გრან-პრის შემდეგ ფელიპე მასას მიერ გაკეთებული განცხადებები. ფრაზები აშკარად კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი. როგორც ჩანს, ვილაცას სურს ჩვენი ორი პილოტის წაბუებება.

რბოლის შემდეგ ფერნანდომაც და ფელიპემაც მკაფიოდ მიგვანიშნეს, რომ ეს ეპიზოდი არავითარ შემთხვევაში არ იმოქმედებს მათ ურთიერთობაზე".

თავისი მოქმედების კომენტარისას ალონსომ მშვიდად განაცხადა, რომ მის საქციელში დანაშაული არ იმალება და ეს მასასთან ურთიერთობაზე გავლენას არ მოახდენს. ეპიზოდის შეფასებისას ფელიპე მასაც საკმაოდ თავშეკავებული იყო: „პიტ-ლეინზე შესვლამდე გუბერში გავიარე და ნამით კონტროლი დავკარგე მანქანაზე. ამიგომაც ფერნანდომ მოასწრო შიდა ტრასექტორის დაკავება და პიტ-ლეინზე ადრე შესვლა. შესაბამისად, პირველმა მან გამოიკვალა საბურავი, მე კი ლოდინი მომიხდა, რის გამოც რამდენიმე ადგილი დავკარგე".

სხვადასხვა

ჩოგბურთი

ბილიონი ჩემპიონისთვის

„დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირის - უიმბლდონის ორგანიზატორებმა ერთეულთა თანრიგში ტროფმფატორებისთვის საპრიზო ფონდი გაზარდეს.

წელს ბალბასის ჯორებსა ყველაზე პრესტიჟიული ტურნირის გამარჯვებული ზუსტად ერთ მილიონ ფუნტ სტერლინგს (1.54 მილიონი დოლარი) მიიღებს. შარშანდელთან შედარებით ეს თანხა 150 ათასი ფუნტით (231 ათასი დოლარი) არის გაზრდილი.

პოინორარის გაზრდით ორგანიზატორები დოლართან და ევროსთან მიმართებაში ბრიტანული ფუნტის კურსის ვარდნის კომპენსირებას მოახდენენ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში უიმბლდონზე მამაკაცების საპრიზო ფონდი ორჯერ გაიზარდა.

ქრიკეტი

კალზაგე ბრუნდება

ბრიტანულ პრესაში საინტერესო ჭორი გაჩნდა იმის შესახებ, რომ დაუმარცხებელი უელსელი **ჯო კალზაგე** (46-0, 32KO), შესაძლოა, პროფესიულ რინგს დაუბრუნდეს და რამდენიმე ბრძოლაში მიიღოს მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ კალზაგემ კარიერა 2009 წლის დასანყისში დაასრულა.

ადრე უელსელმა მოკრივემ დაიფიცა, რომ რინგზე არასოდეს დაბრუნდებოდა, მაგრამ ამასწინანდელ ინტერვიუში არ გამორიცხა დიდ სპორტში დაბრუნება, მიზეზად კი ფინანსური მდგომარეობა დაასახელა.

გუა ბარეტს შეხვდება

რომ ჩანს, სუპერმძიმე წონით კატეგორიაში კიდევ ერთი სანტრერესო ბრძოლის მონმენი გავხდებით. ზოლანდური პრესის ინფორმაციით, იქაური მოკრივე **დევიდ ტუა** (51-3, 43KO) ამერიკელ **მონტი ბარეტს** (34-9, 20KO) ივნისის ბოლოს ბრაზილიაში შეხვდება. ჭორების მიხედვით, მხარეები უახლოეს დღეებში მიაღწევენ შეთანხმებას.

როგორც იცით, ტუა ორწლიანი შესვენების შემდეგ გასული წლის ოქტომბერში დაბრუნდა რინგზე და ორ რაუნდში დაამარცხა **შეინ კამერონი**, ხოლო ეს მან **ფრაიდ ჰპუანნას** ძლევაც მოახერხა. რაც შეეხება ბარეტს, მან სულ ცოტა ხნის წინ ორი ნოკაუტი გადაიტანა - კუბელ **ოდლანიერ სოლისს-გან** და ბრიტანელ **დევიდ ჰეისგან**.

გვენდე მეგობარო
გია თევზაიგებიშვილმა